# ცისკარი

**1858**

მარტი. წიგნი მესამე

ტფილისი

კერესელიძის ტიპოგრაფიაში

# ლექსები

## ჩემი ლოცვა

მამაო! ვხედავ რა რომე ვარ აწ დავრდომილი,
წინაშე შენსა წარმოვსდგები შემცოდე შვილი,
მუხლსა მოვიდრეკ მოწიწებით, მაქვს სინანული,
თუ რად ვადელე ბოროტებით უმანკო გული!
გვედრი შემომქმედს, ნუ მიხედავ ცოდვას წარსულსა,
არამედ იგი ჩამინთქავი უღრმეს უფსკრულსა.
შენ მაცხოვარო! მოეც სნეულს ჩემს გულს ფონება
და დაუბრუნე ადრინდელი მას მყუდროება.
გცოდე შენ ღმერთო, ვითა ჰსცოდავს კაცი ცოდ-
ვილი.
ვინ არს ქვეყანად უცოდ[illegible] მხოლოდ შობილი?
აურაცხელის ბოროტებით [illegible].
ნუ, ნუ მამავო, ნუ მარიდებ მე პირსა შენსა!
არამედ ცოდვის სასტიკი [illegible] განმწმინდე,

ჵ ესრედ დანთქმად მიხწნეულსა, სნეულს მიღხინე!
მრავალ მოწყალევ! მასვი ცოდვილს უკვდავი წყარო,
რათამცა გული განწმენდილი მით დავიმტკბარო.
განმიახლე შენ უხილავო, წრფელი სული,
ადრე ჩემ-მორჩის რომე იყო დამკვიდრებული.
ყოველთ-მხილაო! ნუ მიტევებ მეს შეცდომილსა,
ხომ სჭვრეტ, შენ წინა, ვით აქვს მრწოლა შემცოდე
შვილსა?
ნუ! ნუ მამაო! ნუ ინებებ ჩემსას დასჯასა,
ჵ მოწყალებით გარდმოხედე ჩემსას აჯასა.
შემცოდეს შვილსა მასწავლე გზა შენი მართალი,
რომელსა ზედან შენს ცოდვილს მეს მქონდეს სა-
ვალი!....

ი. კერესელიძე.

19 მაისს.
1856-წელსა.

---

## ამაოება

ვზივარ შევცქერი პირდაპირ ხესა,
ამ შეჭმუხვნილსა წვიმიანს დღესა,
ვხედავ ფოთოლნი ყვითლად შეცვლილან,
ხეს მორდებიან მიწაზედ ჰსცვიან.
აწ ცა ჩვეულებრ ფიქრში შევდივარ,

რადგანც ვხედავ რომ, მეც მის მსგავსი ვარ.
ვფიქრობ მას, რომელი მეც გულდაყრდები,
მოვალის დრო ოდეს ყვავილად ვიცვლებით:
ვით ხეს ფოთოლნი. ყინვებით, ლოდებით,
ჩვენც ეგრეთ სოფლის ვმორჩილებით, — მოვკვდე-
ბით;

ვით ოქროვნის ნაცრულად ხე ხმელი იმოსების,
ეგრეთ ჩვენის ნაცრულად სხვა იმოსების!
შენც ხეე მოგივალს დრო განმოსისა,
ვით ამა სოფლის — დღე დაშობისა!

ი. კერესელიძე.

1854 წელსა.
24 ოკტომბერს.

---

კ. მ.

ნეტავი არს იგი, ვინცა შენს ახლოს
სმირად იმყოფების და განავლდების დღისა;
ვინცა ნეტარებს შენისა მზერით,
შენდა ერთგულობს სიტყვით და გულით,
და მუნჯად დასტკბების შვენებასა შენსა
და სამოთხისას ჩვეულს სახეს!...
უფრო ნეტარ მას, რომ შენის ტრფობის

მას ჭკჳა სრულიად არ მივხდების
და მეუსვეულად არ გაგიყდების!....

ლუკა ისარლოვი.

---

## . . . . . . . ს.

ნეტარ ვიცოდე, რა შეგაფიქრებს,
რის უცებ იწყებ ღიმილსა, ფიქრებს!...
შვენება შენი და შენნი თვალნი,
ჭკვისა მიმდევნი, ზეცისა დარნი,
გარდიქცევიან მყისვე გონებად
და გარმოისხმენ სხივებსა დასად!...
ვიშიშვი მაშინ და იგ მებრალვის,
ვის შენი ფიქრი, შენი ღიმილი —
რისხვას და წყრომას მაშინ უმზადის.
ხოლო ნეტარ მას, ვისაცა გული —
შენისა სხივით განუნათლდების!...

ლუკა ისარლოვი.

1838 წლისა.
30 აგვისტოს.

## რისთჳს მიყვარხარ?

რის-თჳს მიყვარხარ?-ამის ცნობა შენ გენებება?
საბრალო გული, მე უბადრუკს ვისთჳს მეგზნება?...
მაშ ჩემო ღმერთავ, დავიჩოქო მომეცი ნება,
ჭეშმარიტებით გადვიარო მე აღსარება:

ცხოვრება ჩემი წყაროსავით მომდინარებდა,
ვერც სოფლის ღელვა, ვერცა ჟინი მას ვერ არე-
ვდა,—
რასა ვგონებდი, თუ ვინმე მას ააჩქარებდა
და ჩემი ხვედრი მე სიცოცხლეს გამიმწარებდა!...

მიმეღო ცნობა ჰილველადვე, რა გნახე შენა,
უძღვენ მადლობა მას, ვინც, ტურფავ, შენ დაგა-
შვენა.
ვინც ამა სოფელს მომიყვანა ჩემდა სალხენად,
ვინც ჩემს ნუგეშად, ჩემს ცხოვრებად შენ აღგაშენა!

გულისა მეფავ! გულს მომეცა მაშინ ფონება!...
შენკენ მფრინავდნენ მყის გრძნობანი, მასთან გო-
ნება,
შენ იქმენ ჩემ-თჳს ცხოვრება და ქერზის ქონება...
მე მაშინ გულსა განვიზრახე შენი მონება...

ხვედრმაც ღიმილით გადმომხედა, მომცა იმედი,
აღმითქვა შენი მეუფება-რასაც ვძიებდი!...
ავერ, ვამბობდი, შემეცვლება მასთან ბეჭედი!...

მარამ ვაჲმე, შედგა ჩალხი გაზრუნდა ზედი!...

. . . . . . . . . .

რისთჳს მიყვარხარ?-მისთჳს, რომ ხარ ეგრეთ ლამაზი,
იაებრ მშვიდი, მასთან მარდი ვით რომ გაგაზი:
ვარდის და ბროლის ხარ სადარი, ტურფა და ნაზი...
მისთჳს მიყვარხარ, რადგანცა ხარ უფლისა გაში!

მაშ ღმერთმან მკითხოს, თუ ოდესმე ეს სიყუარული,
ან გავიგრილო, ან შევსცვალო მე შენზედ გული,
უკუნისამდე თუ არ ვიყო მე შენი ყული,
მხვდეს რისხვა ღმრთისა, მეხი ცისა, ვიყო წყეული!...

რისთჳს მიყვარხარ?- მისთჳს რომ გულს მიჩინე წყლული!...
რადგან ვიტანჯვი შენის ეშხით გაზრუნებული,
რომ არ მიწყალებ, არ გებრალვი ზეჩავ-ზედკრული!..
მისთჳს მიყვარხარ, რადგანცა ხარ უმანკო სული!

თ. რაფ. ერის-თავი.

---

## მელა და მაჩვი

«საით მორბიხარ, ნათლიავ, შენ ესრეთ გამალებული?»
მცირეს ხანს გზას შეაყენა და ჰკითხა მაჩვმა მელასა.
ოჰ, ჩემო ტრედო, ნათლიავ! რისთჳს ვარ დაღონებული?

ცილითა მჭომენ, მტანჯამენ, ასე ჰგონიათ ყველასა,
ვითომც მე ვიყო მოქრთამე, და არა მწამდეს მე
სჯული.
არ ვიცი, იცი თუ არა, წუნკლის საქათმოშია,
დიდის თხოვნითა მათის მხრით ვიყავ ქათმების
მსაჯული,
და საქმის განხილვაშია,
ღმერთია შენი თავდები, ჯანი მაქვს მე დაკარგული.
ლუკმისთჳს ვერ მოვიცალე, არც ჩამიდვია პირშია;
ძილი ხომ არ მომსვლია ამ საშინელს ღამეშია.
და ჯილდოდ ესდენ შრომისა, ჩავარდი მე რისხვაშია.
მარამ სულ მაბეზღრობითვე. აბა იფიქრე შენ თითონ:
ვინ არს ამ სოფელს მართალი, თუ უღვთო ჭორი
ისმინონ?
მე უნდა ქრთამები ვიღო? განა იმ გვარად შევსც-
დენი!
აბა განახავს როდისმე, შენს სამართალსა ვჯერდები,
კარგად იფიქრე და მითხარ, თუ ვიყო მაგ ცოდვის
მქნელი,
ზომისაებრვე ცოდვისა, თჳთ განმიწესე სასჯელი!»
«არა, ნათლიავ! მარამა ესკი არის უტყუარი,
რომ სადაც გნახავ უღვთოთჳს ცხვირ-პირზედ გდის
ნაშუარი!»

---

ზოგი კაცია მექონი კარგისა თანამდებობის,
რომელსაც ერთის გროშისთჳს გულიც და ხელებიც
უთრთის;

შეჴედოთ შევებრალებათ, ისე ოხრავს და მართულობს,
რომ ვითომც უკანასკნელსა მანეთს ის არის შოუ-
ლობს;
მთელმა ქალაქმა იცის, მას არაფერი ჰქონია
არც ცოლისა მოჰყოლია:
მაგრამ ყუყურებთ, წვრილ წვრილად ჯერ სახლს იშე-
ნებს ჩინებულს,
მერმე მას აღარ ჰსჯერდება, ყიდულობს ყმასა და
მამულს.
ახლა როგორ შევამოწმოთ მის შესავალ გასავალი?
თქუენ მიეცით სამართალი
როგორც იყოს შესაბრალი!
უნდა ვსთქვათ, რომ დამტკიცება სამართალითვე
მნელი არი,
მაგრამა ესეცა დავჰრთოთ,
რომ სწორეთ იმ მელის მსგავსათ
დამამტკიცებლად ბიწება ცხვირ-პირზედ ჰსდის ნა-
შუარი!

დიმ. მგალობელოვი.

---

## მუსტაზადი

ცრემლთა ისარნი, მოსისხარნი ჩუენდა არიან,
იდუმენით გულნი, ჯირნახულნი შეგვიწყარენით,
უცხონი თემით, სოფლის ცემით გაგვაგარენით,
უჭკნობნი ვარდნი, ეს გვარ დარნი დაგვიბნარენით;

არ თქუმის ენით, არცა სმენით ეს იქმარენით.
რის გაკვალდებით, შევდონდებით დომნი ყმა ძმანო,
თან ზრდილნი სწორნო, განაშორნო, საყვარლად
კმანო,
ვა კიდე განთა, ეჳდენ თქმათა გლოვნისა სმანო,
აცვალის კალოს, საკალაძის სადახარ თქმანო.
დაგვბურნა ქარმან, დაუწუნარმან ზღვად გვიჯარენით;
დაბერდა ყური სევდის ჴური რა ჰხოვა სოფლით.
დაბნელდა თვალნი, შეუმკრთალნი ცრემლით და ოფლით,
დადგესცა ხელნი, მარჯვედ წარჴვედნი შორნი სამ-
ყოფელით,
ჴელმწიფე გული, ცეცხლით და გული სულით გამყო-
ფელით.
ჴირსა მცა თქვენსა, თუ გალხენსა მოიხმარენით;
დავნაცრით მზესა, სიამესა დიდა თქვენ გარებს,
ღამე თოვარე, მწველ მოარე, საით გვიარებს,
ცისკარის მთიები, სხვა ციები პირველ გვიხარებს
და მერმე წრდილის ისრიქვდილის, დრუბლის დაგ-
ვარებს.
ამ დღე რამეთა და ჟამითა, დავიმწარენით:
სიზმარს ვემონვით. ძილ შევკონვით ნუ თუმცა გნახეთ.
სახე უსახო, სავახვახო ეს განვიჩრახეთ,
სხვამცა პაცრონი, ანუ დრონი ვეღარ დავსახეთ.
ყვარიბთა ბანი, გზის სიბანი ქალით შევჩმახეთ,
მოყვასთა ცემლნი, სწვიმეთ ცხელნი მცერით იხარენით.

ბესარიონ გაბა-შვლი.

2.

# მ ო ქ მ ე დ ე ბ ა 3.

## გ ა მ ო ს ვ ლ ა 1.

(სცენა წარმოადგენს სწორე მინდორსა, რომელსაცა აქჳს აქეთ-იქით ტყე. პირდაპირ მოჩანს მთა მაღალი.)

გ რ ი გ ო ლ (მარტო.)

გრიგოლი.

(კელში უჭირავს ორიოდე ცალიფული და აჩხაკუნებს.) ამ ცოტა ოდენის ფულით უნდა დავბრუნდე! უნდა დავბრუნდე და ვნახო თუ როგორა კვდება მშობელი ჩემი, თუ როგორ ებრძვის სული დედა ჩემს... (დაუწყებს ფულს მწუხარებით.) ახ!... კაცნო! შეუბრალებელნო კაცნო... ამას იძახით რომ კეთილის მოქმედნი ვართო და არ გეშინიანთ ღვთისა რომ აღმოუშვებთ პირთაგან ამ გვარ ფარისეულს სიტყუასა!... აი დახედეთ!.. ეს ერთი ცალიფული მომცა, ერთმა თავადის შჳლმა, რომელიცა იჯდა მშვენიერს ცხენზედ, მშვენიერს მოკაზმულს უნაგირზედა. ორნი თუ სამნი მოსამსახურენი მოსდევდნენ უკან... ეს მეორე ცალიფული მამცა ერთმა დიდკაცის ცოლმა, ტარანტასში მჯდომმა, რომელიცა მიდიოდა სათე-ქენდაც სალოცავათა... ჯერ არცა ამას მაძლევდა,

მაგრამ როდესაც რომ დავუწყე ვედრება გულმტკივ-ნეულის სიტყვებითა, როდესაც რომ აღუწერე ჩემი უბედურება, მაშინ შეშინდა, გადმომიგდო ცალიფეული და უბრძანა ცხენების გარეკა კუჩერსა, რომელმაცა რა დაჰკრა შოლტი და გაარბენინა ცხენები, ცოტა გაწყდა რომ არ გამაჭყლიტინა!... ეს ერთი გროში მომცა, ერთმა ახალგაზრდა ბერმა. მაგრამ ბევრი მლანძღა და მეუბნებოდა: ზარმაცი რომ არ იყო გლახაობას არ დაიწყებდიო, ამის გამო მოაკლო ჩემსას მოწყალების მოცემას, თუმცა სურდა მეტი მოეცა. (გულმტკივნეულობით) ეს ცალიფეული მომცა ერთმა საწყალმა გლახამ, რომლისათვისაც სრულებით არცკი მითხოვნია:.. იმ ჩემსავით საწყალს სწორედ ერთი გროში ჰქონდა, გაჰყო შუაზედ, ნახევარი წილი რა მომცა, დამლოცა ღვთის სახელ-ზედ და გამამისტუმრა!... ოჰ! ეს ცალიფეული ქრის-ტეს წინაშე წარდგენის დღეს მგზავრათ ღირს! შერ-უთვნელი განმსჯელი ამ გვარ კეთილისათვის უხვებით დააჯილდოებს. (დაჩუმდება მცირედი, შემდგომს კიდევ დახედავს ფულსა.) აბა რა ვიყიდო ამითი?... გროშის ერთს ფიცარსაც არ ეყოფა!.. ერთის აღლის თოკის ფასიც არ არის, რომ ვიყიდო და ჩამოვიხრჩო თავი!... მე ესე მიჯობს და ვიფიქრობ ახლა, თუ რამდენი ფული მიდის და მიდის სტოლზედ, ქაღალდის თამა-შობაში ტფილისის კლუბში!... (იწმენდს შუბლიდგან ოფლსა.) მამა ჩემო! მამა ჩემო!... რომელსაცა არა გცნობ და არ მინახვიხარ. მაშინ, როდესაც რომ წარვსდგებით საშინელსა სამსჯავროსა, მიუგებთ ერთგულად

უხილავსა ამ ჩემის ცივ ოფლისათჳს; მიუგებ კაცობრივ განწირულებისათჳს და ყოველზედ: რაც კი წარმოსდგების განწირვისაგან. როგორც მშობელი ჩემი არის ახლა ყოვლით უნუგეშო და უმოწყალებო, ეგრეთ არ მოგეცეს შენ ნუგეში და მოწყალება. (ამ დროს მოისმის თოფთა სროლა მონადირეთაგან. გრიგოლ ოთხკუთხ იყურება:) მონადირენი არიან! — იქნება თავადის შჳლები იყვნენ. — სწორედ ისინი უნდა იყვნენ — მოდი ამათაც გაუბედავ და ვთხოვ მოწყალებასა ჩემის საყვარლის მშობლისათჳს! ღმერთო! მრავალ მოწყალეო ღმერთო! დაუმშვიდე და აუტკივე გული, რომ მომცენ მოწყალება.

## გამოსვლა 2.

### გრიგოლ, დიასამიძე და შერამიძე.

დიასამიძე.

(შეუცდის მცირედი, დაბჯენილი თოფზედ, შერამიძეს, რომელიცა უკან დარჩომილა და მძლივს მოათრევს ფეხებს.) წყნარა ქნიაზო მიხეილო, ჩვენის ხმა არ შეუტყონ ნადირებმა, თორემ დაგვფრთხებიან... ჩუმათ, აგერ გონია ძაღლების ხმა მოისმის, უთუოთ ჩუენ კაცებს ნადირი გამოუგდიათ საიდანმე.

შერამიძე

(ხვნეშის) ოხ!... ოხ... შენი მომიკვდები, რომ ძალიანცა დავიღალე. აქ შეიძლება. ქნიაზო ცოტას შევისვენოთ. (ისიც დაებჯინება თოფსა.)

(დიასამიძე შორს გადგება და ყურს უგდებს ტყისაკენ.)

გრიგოლი.

(მიუახლოვდება მოწიწებით შერამიძეს, რომელიცა რა დაინახავს შეკრთება.) ღმერთი გადღეგრძელებთ ბატონო, მოიღეთ მოწყალება საწყალ ღარიბ კაცზედ....

შერამიძე.

ახ!... ეს ვინ არის საძაგელი... უთუოთ გლახა არის...ი... შენ საძაგელო, როგორ არა გრცხვენიან მაგისთანას მრთელს კაცსა, რომ მოწყალებას თხოულობ.... (მხარზედ.) ეტყობა რომ ამ მხარეზედ, ცოტათი უყურებენ ცუდად-მოსიარულეთა და ამ გვარ კაცებს, რომელნიცა ტყუილათ სჭამენ პურსა.

გრიგოლი.

(შებრალებით.) ეგ მეც ვიცი, მაგრამ... (მიუბრუნდება დიასამიძეს, რომელიცა რა დაინახავს შერამიძეს, გადასთანაც მიელაპარაკებს ახლოს მოვა.) ბატონო ჩემო!... გევედრებით, მოიღეთ მოწყალება საცოდავ ბეჯლზედ, რომელიცა ითხოვს მოწყალებასა, სნეულის და დავრდომილის მშობლისათვის.

დიასამიძე,

(ჩაიყოფს ჯიბეში ხელსა ამოიღებს ფულსა და მისცემს გრიგოლს.) უჯერო კი მჯობდა, საყვარელო ჩემო.. სნეულის დედაშენისათვის გემუშავნა, რადგანაც როგორც მიჩანს ბრიელი კაცი ხარ და არ გეკ-ხოვნია მოწყალება.

გრიგოლი.

რა ვქნა ბატონო, შეჭირვებამ მომახწევინა...

მაწაღივე ბატონო ჩემო... მაგრამ უნდა კი მოგახსენოთ, რომ რაც მიბოძეთ, ეს საკმაო არ არის.

დიასამიძე.

(განკვირვებით და გაჯიმებით.) როგორ თუ საკმაო არ არის?...

გრიგოლი.

ღმერთს ერწმუნეთ, რომ საკმაო არ გახლავსთ.

დიასამიძე.

(მხარეზედ.) საკვირველია. (მაღლა.) საკმაო არის თუ არა, მე შენ მაგაზედ მეტს აღარ მოგცემ.

გრიგოლი.

თუ რომ გიყვართ ღმერთი და გაქვსთ მცირედი კაცთმოყვარული გული, მიბოძეთ ერთი მანეთიცარი.

დიასამიძე.

ჩემს სიცოცხლეში ეს პირველი ნახვა არის, რომ გლახა მიბრძანებს, თუ რამდენი უნდა მივცე მოწყალებათა ფული.

გრიგოლი.

გევედრები ბატონო მიბოძოთ ერთი მანეთი, რომლითაცა დაიხსნით კაცსა სიკვდილისაგან.

დიასამიძე.

სულელი ხომ არა ხარ კაცო, ვიღაცა შუდრეგი ხარ... წავიდეთ ქნიაზო მიხეილ... რას ჩამოგვეკიდა ვიღაც გიჟია....

შერამიძე.

წავიდეთ ქნიაზო.

გრიგოლი.

ღვთის ჯულისათჳს ბატონებო ჩემო, მიბოძეთ ერთი მანეთი, რომლითაცა დაიხსნით თქ სულს სიკვდილისაგან!... (რა ნახავს რომ მიდიან დაუჩო-ქებს წინ.) ერთი მანეთი ბატონებო! თავის დღეში თქუენ სიცოცხლეში არ შეგხვდებათ ესრეთ იაფათ ყიდვა ქველის-მოქმედებისა!... (რა განშორდებიან და ყურს არ მიუგდებენ, გრიგოლი ამოიღებს ხმალსა იმ აზრით, რომ თუ არ მისცემენ თავს მოიკლავს.) ბატონებო! თუ არ მიბოძებთ ერთს მანეთს, კაცი მოკვდება აქა და ვალი თქუენ დაგედებათ.

დიასამიძე.

(შეშინდება ) ეს რა ამბავია!... ეი... ბიჭებო... გვიშველეთ!... გვიშველეთ ჩქარა. თორემ დაგვხოცეს (ამ დროს ტყითგან გამოცვივდიან რამდენიმე ბიჭები და გრიგოლს თოფიარაღს წაართმევენ.)

შერვაშიძე.

(მარბის და ყვირის.) გვიშველეთ, რაზბოინიკებო!... რაზბოინიკებო!...

გრიგოლი.

ახ!.. ღმერთო ჩემო! ეს რა მოვიქმედე!

დიასამიძე.

წაიყვანეთ ახლავე და ჩააგდეთ ბნელს ოთახში სადმე, მინამ შევატყობინებდე, ქალაქის მდივანბეგს, მეც ახლავე წამოვალ.

გრიგოლი.

(დაიჩოქებს.) ნება მიბოძე ბატონო ჩემო, გო-ხოვო ერთი მოწყალებაცარი... მე ხომ მივეცი თავი

ჩემი საპყრობილესა. და ეს მოწყალება მაინც მიბო-ძეთ, რომ მისცეთ შემწეობა უბედურს დედა ჩემს და მე რაც გნებავდეთ ის მიყავით!... ის უბედური სულს აძლევს სიკვდილისათვის, ერთის გლეხკაცის ქოხში, თუნდა გაგზავნეთ კაცი და შეიტყვეთ, ტყუი-ლათ ვამბობ თუ მართლად. დედი ჩემისათვის ამოვიღე ხმალი და დედის ჩემის გულისათვის მზათა ვარ და-ვანთხიო სისხლი.

დიასამიძე.

ყურს ნუ ათხოვებთ მაგ სულელსა, წაიყვანეთ როგორც გითხარით, შეაგდეთ ოთახში და პურის მეტი და წყლისა არა მისცეთ რა, გესმისთ თუ არა?

გრიგოლი.

(რა მიაყვით კაცებს შეკრული.) წყეული იყოს მამა ჩემი, თუ რისთვის მაძლევდა მე სიცოცხლესა! (გავა.)

დიასამიძე.

(აღშფოთებული უყვირის ერთის მოსამსახურეთაგანს.) ეი ბიჭო!... ერთ-ერთი თქვენგანი უნდა წავიდეს ემანდ სოფელში და გასინჯოს ეგების სახლში, ნახოს სადმე, არის სნეული დედაკაცი თუ არა... თუ რომ მართალია და წევს ავათმყოფი, მიეცი ეს ფული. (აძლევს ქისით ფულსა.) გესმის თუ არა?

ბიჭი.

დიახ თქვენი ჭირიმე.

დიასამიძე.

საკვირველი საქმეა!... ის ყმაწვილკაცი სრულე-ბით არა გვანდა ცუდს კაცსა... თუ რომ არა სტყუ-

ოდა და მართალს ამბობდა მოწყალებას ვთხოულობ ავათმყოფ დედისათჳსაო, ეს დიდი საქმეა, რომ ამ გვარი შჳლი ჰყოლია დედას... მაგრამ ჯერ უნდა ქარგათ გამოვიკითხო ყოველივე და შევიტყო.

## გამოსვლა 5.

(სცენა უცებ შეიცვლება დიასამიძის ოთახად.)

პელაგია. (მარტო.)

პელაგია.

რავქნა! გული ესე როგორღაც რათ შემექმნა! მე თითონ არ მინდოდა შემოვსულ ვიყავი ამ ოთახში, ბაღში მინდოდა ჩასვლა, მაგრამ მე თითონ მიკვირს ისე როგორ შემოველი, რომ თითონ მეც ვერ შევიტყე. (უნდა გავიდეს და ისევე დაბრუნდება.) მაგრამ, რომ შემოვიდეს ვინმე ჩემთან საქმისათჳს და ვერ მპოვოს აქა, ხომ უნდა დამიწყონ ძებნა აქეთ იქით.— ისევე სჯობია, რომ აქ ვიყო... რატო ესე შევიქენი აგზნებათა? (ოხრავს,) გონია, ვიღისაც ფეხის ხმა მოისმის... არა... უთუოთ ქარი არახუნებს კარებსა!... ლოყები რათ გამიცხელდა ესრეთ საშინლად?... (მცირე ხანს დაჩუმდება და რა ტირილი მოუვა, ხელცახოცით იწმენდს.—) გულს რათ უნდა ტირილი... რაზედ ვტირი?...

## გამოსვლა 4.

პელაგია და დიონისე.

პელაგია.

(მიეგებებით, რა თვალებს მოიწმენდს.) ახ!... მშვიდობა თქუენი ნახვა საყვარელო ჩემო მასწავლებელო!... ვაი... კიდევ შევცდი, უნდა მეთქვა, ბატონო დიონისე მეთქი და კიდევ მასწავლებელი დავიძახე. მომიტევეთ. მაგრამ რა ვქნა, რო ვერ გადავეჩვივე მასწავლებლის დაძახებასა.

დიონისე.

უფრო სასიამოვნო არის ჩემთვის კნიაჟნა, რომ მასწავლებელს მეძახით!... მაგრამ რათ გიტირნია!... სწორედ თქვენმა მზემ გიტირნია.

პელაგია.

მხოლოდ ორი მარცვალი ცრემლი გარდმოვარდა თვალითგან.

დიონისე.

გავბედავ გკითხოთ, ვისთვის და რისთვის?

პელაგია.

ეგ ბატონო დიონისე მეც თვითან არ ვიცი.

დიონისე.

რადგანც არ გნებავთ თქმა, მეც ბევრს აღარ შეგაწუხებთ. მე მოვსულვარ თქუენთანა მამის თქუენის ბრძანებით.

ჰელოაზია.

მე დიდათ მოხარული ვარ, როდესაცა მოხვალთ ხოლმე.

დიონისე.

თქვენი ეგე დაუკავებითი ლაპარაკი, დიდად მახიამოვნებს მე.

ჰელოაზია.

მამა ჩემი, ბატონო დიონისე მეუბნება ხოლმე, რომელმაცა გაგინათლა სწავლითა ჭკუა და გონებაო, იმას უფრო მეტი კეთილი უქნია შენთვისა, ვიდრე მამისა, რომელმაცა სიცოცხლე მოგცაო, მამა ჩემი რომ ამას მეუბნება (ძირს იყურება.) ჩემი გულიც აღტკივდების ხოლმე.

დიონისე.

ესე წამი დამაჯილდოებს მე, რვაწლის შრომისათვის. უნდა იცოდე კნიაჟნა, თუ მაგ სიტყვებით როგორ უხარის ჩემს გულს.

ჰელოაზია.

მე ვიყავი ძალიან ცელქი და ბევრი შემიწუხებიხართ კიდეც, მაგრამ თქვენ ყოველივე გამისწორეთ და ყოველივე კეთილი მასწავლეთ. ამისათვის მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს, რომ კიდეც მიყვარდეთ.

დიონისე.

(თავისთვის.) ახ! ღმერთო ჩემო! ეს რა მესმის!... (მაღლა და ერა თან ებმის.) მე... მე... მე მოვსულვარ მამი თქვენისაგან თქვენთან ამისთვის, რომ უნდა გკითხოთ... დავსხდეთ კნიაჟნა.

პელაგია.

(შემოურბენინებს ფიცხლავ სკამსა.) თქვენ დაბრძანდით ბატონო დიონისე, მე ფეხზედ დავდგები.

დიონისე.

(სკამს უკან გაიწევს.) კნიაზი მიხეილ შერაშიძე მოსულა აქა...

პელაგია.

(სატუვას ართმევს.) დიას.

დიონისე.

ხომ იცით რისთვისაც?

პელაგია.

უნდა რომ, ვითომც მე შემირთოს.

დიონისე.

უნდა — (ცოტა მოჩქარებით) მამა თქვენს არა სურს თქვენი ძალის დატანება.

პელაგია.

ეგ მეც ვიცი.

დიონისე.

დიდად კი სურს შეიტყოს, თუ როგორის აზრითა ხარ შერაშიძეზე.

პელაგია.

მე არ მინდა ქმრის შერთვა.

დიონისე.

ეგ იმას ნიშნავს, რომ არავინ მინდა მიყვარდესო.

პელაგია.

მაშ თუ ეგ აგრე უოფილა, მინდა ქმრის

შერთვა.—ამისათჳს რომ მე მინდა მიყვარდეს ვინმე და ამისთჳს რომ მე კიდეც მიყვარს ვინმე.

დიონისე.

(განკვირვებით.) ა!... მაგას თქუენგნით არ მოველოდი!.. მაშ სჩანს, რომ კნიაზი მიხეილ შერაშიძე....

პელაგია.

თუ ღმერთი გწამთ დიონისე ნუღარ გამახსენებთ იმ სულელს და გიჟს ვიღაც არის!... (გამოართმევს ხელსა.) სწორეთ უნდა გითხრა, რომ მიყვარხართ თქუენ!...

დიონისე.

რას ამბობ კნიაჟნა.... ღვთის გულისათჳს....

პელაგია.

მე მინდა რომ შენ შემირთო.

დიონისე.

მე!

პელაგია.

დიახ, თქუენ ჩემი მასწავლებელი.

დიონისე.

კნიაჟნა პელაგია!.. თქუენ როგორღაც თავი გავიწყდებათ.

პელაგია.

რა მავიწყდება?

დიონისე.

თქუენა გაქუსთ შთამომავლობა დიდკაცობისა...

პელაგია.

რავქნა, რომ დიდკაცობის შთამომავლობა მაქუს?

დიონოსე.

ახ! ღმერთო ჩემო!... არა, არა, ეგ რიგი არ არის.

პელაგია,

თუ კი რომ ყველაზედ მეტათ თქუენ მიყვარხართ.

დიონოსე.

მეც თჳთან მიყვარხარ, ყველაზედ მეტათ, მაგრამ...

პელაგია.

თუ კა აგრეა, მე დალოცვილო და, რადგას უყუ-რებ, ზარემ ჯუარიც დაიწერე.

დიონოსე.

ბატონო რას მიბრძანებთ, მე ერთი საწყალი სამღვდელო კაცი ვარ და როგორ იქმნება....

პელაგია.

რა ვქნა, თუ კი ჩემი გული სხუას არ მიეძლევის... დარწმუნებული ვარ რომ თქვენთან ჩემს სიცოცხლეს გავატარებ ბედნიერად.

დიონოსე.

ახ! პელაგია! თუ რომე ვიქმნებოდით იმ საუ-კუნეში, რომელსაც რომ ხარობდნენ მოლექსენი იმ საუკუნეთი, რასაკვირველია, რომ დიდის სიხარულით შევირთავდი... მაგრამ ახლა სხუა დროა... თქუენ უნდა შეირთოთ კნიაზი, რადგანაც კნიაჟნა ხართ. პელაგია დაბადებულია კნიაზისათჳს და არა ჩემის-თანა საწყალის კაცისათჳს!... ვინ კითხულობს ჩემს

ბედნიერებასა ბევრიც რომ მინდოდეს...

პელაგია.

მე ვკითხულობ თქუენ ბედნიერებას აი, მე. — რამდენჯე გითქვამთ თქვენ თვთან ჩემთვს, რომ ერთი მხოლოდ გული გააპატიოსნებს კაცსაო. (გულზედ იდებს ხელსა.) მართლად რომ ვგრეც აღვასრულე და ამოვარჩიევე გულით კეთილშობილი და პატიოსანი კაცი.

დიონისე.

თქუენი ჭირიმე კნიაჟნა დასტკბეთ მაგისთანა განზრახვა მაგისთვს ხომ არ გამამგზავნა მამა თქუენმა?... მაგგვარ ქორწილს როგორც თქუენ ფიქრობთ, ათი ათასი მიზეზი აქუს. — თუნდა ერთ იმ მიზეზთაგან გეტყუკი, მაგრამ არ მაგონდება.

პელაგია.

ამისთვს არ გაგონდებათ რომ სრულებით არაფერი მიზეზი დამაბრკოლებელი არ არის.

დიონისე.

თქუენი ნებაა?... გული ჩემი დიდ შეიწროებაშია ახლა... შეუსაძლებელი კი არ არის... ჭეშმარიტათ სწორეთ ვანზობ და ან რა კარგი იქმნება რომ თქუენ ნათესავებს ყველას ვეძულები და სახლში არავინ მიმიკარებს, დაგიწყებენ განკიცხვასა, ის როგორ შეირთოვო და გვარ დაიმცირაო, ვინისცის რაებს იტყვიან და რას არა.

პელაგია.

(იცინის.) მაგისთანა სიტყვები სათაკილოა?

დიონისე.

განა იცნობთ კიდეც?

პელაგია.

ვიცნობ საყვარელო დიონისე, როგორ არ გავიცნობ, რომ რვა წელიწადია ჩემი მასწავლებელი ხართ და არასოდეს არ მოგიციათ ესრეთი ცრუ დარიგება, როგორსაც დღეს.

დიონისე.

მაგას მაშიანა ვწუხვარ!... ჭეშმარიტათ რომ დიდათ ვწუხვარ. ამისთვის რომ...

პელაგია.

მეკი ძალიან მიხარიან, ამისთვის რომ...

დიონისე.

(არევვითა.) ამისთვის რომ...

პელაგია.

ამისთვის რომ... ამისთვის რომ თქვენ უთუოთ უნდა შემირთოთ.

დიონისე.

არასოდეს!

პელაგია.

მერწმუნეთ, რომ ჩემის შერთვით იქნებით თქვენ ბედნიერი! ვიცხოვრებთ თანხმობით, ყოვლით კმაყოფილებით იქამომდე, ვიდრე ერთი ჩვენგანი დაიძინებს საუკუნოს ძილით, მაშინ დარჩომილი ცოცხლათ, რასაკვირველია რომ დაიწყებს ტირილსა და არა სიცილსა. მაგრამ იქამდის ჯერ წინ ბევრი დრო გვიძევს, ძალიან ბევრი!... აბა! დაჰკარ ხელი

თუ არ დაჰკრავ ჴელსა, ნიშნავს რომ არა გყვარე-ბივარ.

დიონისე.

ძალიან კარგი არის, რომ კაცი იყოს პატიო-სანი, მაგრამ ხანდის-ხანკი ძნელია. ძალიან ძნე-ლია. ახ! კნიაჟნა, უნდა იცოდეთ თუ როგორა მტან-ჯავთ და მაწვალებთ.—არა, არა, არ შემიძლიან რომ მამა თქუენს გავუბედო მაგაზედ მე რამ.

პელაგია.

მე თჳთან გავუბედავ კიდეც და კიდეც ვეტყვი.

დიონისე.

ღვთის გულისათჳს ნუ!... რაც რომ მე ბედნიერებაში ვარ, სულ იმისი წყალობა არის, და აგრე ყელს ნუ გამომჭრი თქუენი ჭირიმე. ხომ ფიცხლავ იფიქრებს, რომ ჩემი ქალი შეცდენიათო, ახ, ღმერთმან ნუ ქნას!... ყოვლისა შემომქმედო, შენ გევედრები განმაშორო ამისთანა საშინელებას.

პელაგია.

მამა ჩემის სურვილი კი არის რომ შევირთო მე, ვინცა მსურს. რადგანაც ეს ასე არის მე მსურს რომ თქვენ შემირთოთ და ვიყო ბედნიერი. თუ თქუენ არ შე-მირთავთ, უეჭველად უბედური ვიქნები, მე ამას თჳ-თან მამა ჩემსაც ვეტყვი; იცი რა პასუხსაც მომცემს ამაზედ? იქნება პირველად კი გაოცდეს და მოიხრას. ხომ არ გაგიჟდითო. მაგრამ მერმე რა იფიქრებს ღიმილით მეტყვის, აგრე იყოსო, შჳლო პელაგია ღმერთმა გაგაბედნიეროსო. მაშინ აბა ახლა თქუენ იფიქრეთ, თუ რა გულმხურვალედ დავუკოცნი ჴელებსა, მერმეთ

მოვალ და ყელზედ შემოგეხვევი. როგორ გაიხარე-ბენ ყოველნი. მე მხოლოდ ახლა ვუცდი მამის ჩემის მოსვლასა. გული მიცემს, რომ ერთი მალე დაბრუნ-დეს. წეღან სრულებით ვერ მივხვდი, რომ მეტის თქუენის სიყვარულით ვსტიროდი, ახლა კი შევიტყე (უნდა გამოართოს ხელი.)

დიონოსე.

(ხელს გამოსტაცებს.) ახ!... თქუენ მე სრულის გონებითგან და ჭკუისაგან მშლით კნიაჟნა.

პელაგია.

არაოდეს!... არაოდეს არა გშლით ჭკუისაგან!... ახ!... როგორა ვწუხვარ, ვიღაც მოდის, კიდევ მინ-დოდა რაღაებიც მეთქო, მაგრამ დაგვიშალეს.

## გამოსვლა 5.

ადრინდელივე და მოურავი. (იღლიას ქვეშ ამოდე-ბული აქუს გუდა.)

პელაგია.

(მოწყენით.) ჩუენი მოურავი!... რისთჳს მოვიდა ეს წუწული ამ დროს?... შენი მტერი! მოჭკვება ახლა და, ეშმაკიც ვეღარ დააჩუმებს.

მოურავი. (თავს სტკვირს უკრავს.)

კნიაჟნა, აწ განუცხადებ თქუენ ხარისხსა დიდე-ბულსა,
მონა ესე მკელთაგანვე, რომ უხარის ყოველ სულსა,
მაგა თქვენ შეუღლებაზედ, ვით არ უხაროდეს გულსა,

დაუკვეხნივ მოგახსენებ თუ რომ კი მიბოძებ ჟულსა,
თქვენის ძებით აღვმრამ ცნას მრთელს სმელს მივცემ
სიხარულსა,
ამ ჩემს გუდას მაგრათ გავბერ არ ვიშურებ ბლომათ
სულსა. (უკრავს.)

პელაგია.

(ამღვრეული.) რაზედ უხარის? რა ამბავია?

დიონისე.

(განკვირვებით.) უთუოდ წყეული ყურს გვიგ-
დებდა.

მოურავი.

მოწყალეო ჴელწიფეო, მოგახსენებთ გაბედვითა
რომ კნიაჟნა რამდენჯერმე მიჭერია ამ ჴელითა,
და იმას ხომ ვიღა მოსთვლის, ულახვივარ ვით სი-
ლითა,
ვით იქნება რომ აწ მონა არ ვიახლო მოლოცვითა,
მუზნო თქვენცა შემეწიეთ, იწყეთ დენა ყოვლის
მხრითა,
სიხარულით მოვყვეთ ფრენას, შემიმკევით მხარნი
ფრთითა...
დაუკვეხნივ მოგახსენებ, კნიაჟნავ თუ მომცემ ჟუ-
ლსა,
ამ ჩემს გუდას მაგრათ გავბერ, არ ვიშურებ ბლომათ
სულსა...

პელაგია.

მოურავო! ხომ არ გადაირიე? .. რა დაგმართე-
ბია?... მეჯავრება თუ ღმერთი გრწამს მაგ სტვი-
რის დაკვრა, კარგი, ჴელი აიღე.—არა, დღეს რა

მოგლანდებაა... ხომ არ გაგიჟებულხარ?...

მოყვარავი.

არა გზით არ შეუძლიან დაჩუმება ჩემს გულსა,
საყვირნი წინწილანი უნდა მოუკვნენ ყოვლნი ქვრასა,
თუ რომე აქვს სადმე მალი, აქნევენ დღეს ნეტარასა,
როგორც წყალი ულეველი უნდა მოუკვნენ სულდენასა,
ყოველ ქორწილში თქუენს გვარში, მოვყოლივარ მე მღერასა,
პატრონებსა რას ვკითხავდი, ვინ მისდევდა მათ ნებასა...
დაუკვეხნივ მოგახსენებ, კნიაჟნავ თუ მომცემ ფულსა,
თქუენის ქებით აღვძრავ ენას, მრთელს ხმელს მივცემ სიხარულსა.

პელაგია.

დღეს მოურავო, გონია შენც იცოდე, პარასქევაა... შაბათი რომ იყოს, კიდევ ვიფიქრებდი იქნება ჩემი დღეობა გეგონამეთქი, მე არ ვიცი ეს რა ამბავია, რომ აგრე გიხარიან.

მოყვარავი.

არ გეგონოს დაგაჯერო მე, მოლოცვა მარტოესა,
მოგილოცავ კნიაჟნავ თქუენ, უფრო კარგსა სხუა რასმესა:
მამა თქუენი სანადიროთ, რა წავიდა თოფით დღესა,
დახვდნენ თუშნი ცოტა გაწყდა თავში ხმალი რომ არ სცესა.

პელაგია.

როგორ თუ სმალი?... ერთი სწორეთ მითხარი
თუ ღმერთი გწამს, მალე, რას ამბობ?...

მოყრავი.

ეს-ეს იყო, ამ საათში რომე კაცი მოვიდოდა,
დათოკილი კაცი მოჰყვა, სოფლის სოფლად მოუყვი-
როდა,
ისი კაცი თული იყო, ბატონს ტყეში მიხდომოდა,
აეკუწნა კინაღამ ხმლით, რომელიცა წელსა რტყუმოდა.

პელაგია.

(შეწუხებული) მითხარი ჩქარა, რა ამბავია? ერთი
კარგა გამაგებინე!

მოყრავი.

როს ბატონმა დღეს დილითა სტუმარი თან წა-
რიტანა
სანადიროთ შესაქცევათ, მითხარ, ესრეთ იყო განა?
იმ დროს კაცებს რომ მოშორდნენ ახლოს იყვნენ
იქ ტყესთანა,
ერთი კაცი გამოვარდა, კელში ეჭირა მჭრე-
ლი დანა,
უნდოდა რომ....

პელაგია.

(სიტყვას ართმევს) ლექსათ ნუ ამბობ ღვთის
გულისათვის, ისე სთქვი... თუ ღმერთი გწამს ისე
მითხარი რას ამბობ?

მოყრავი.

აი თქვენი ჭირიმე როგორ გასძლეთ, რადგან
ლექსათ არა გნებავთ რომ მოგახსენოთ. ბატონმა

თოფი ესროლა ერთს კურდღელს და მოკლა, მერმე ისე მოკლა თქუენი ჭკიამე, რომ სულ თავი სისხლში მოსვრილი მქონდა...

მელოპეია.

(მოუთმენლად.) მერე... ჰა და თქუ! მერე?

მოყვარავი.

მერე ის, მერე კურდღელიც თითქმის მკვდარი იყო, ასე რომ ძაღლები თავის მოვალეობის წესით უკან მისდევდნენ. — ამბობენ ვითომც, ერთმა მწევარმა, გონია თქუენი ჭკიამე შავულას რომ ეძახის ბატონი, იმან ძალიან გაიმარჯვაო. ამ დროს თქუენი ჭკიამე შეხვდნენ უცებ ერთს ვიღაც მილიციონერს, რომელიცა დადიოდა მოწყალების სათხოვნელად. კაცებმა თუთან თავიანთის თვალით დაინახეს, როგორც ამოიღო ბატონმა თავის მოწყალეს კვლითა ჯუდა ის მისცა, მაგრამ მადლობის მაგიერათ იმ შეწყალებულმა რაზბოინიკმა ამოიღო ხმალი და როგორც გაცოფებული ძაღლი ისე მივარდა თქუენს ბრწყინვალე მამას. თუ რომ ბიჭები არ მიეშველებოდნენ, შენი მტერი!

სიმღერის დროს მოხუცებულს, მოლექსესა მე საწყალსა,
ბევრის ლექსის წარმოთქმითა, გვერცოუდა ვარჩევდი კვალსა,
საფლავის ქვას დასაწერად, ბარემ კი ვიხრიდი თვალსა
ამ მოხუცებულ თვალებისა მაშინ ვერ ნახევდა მშრალსა.

პელაგია.

(შეშინებით.) ახ! ღმერთო ჩემო, ეს რა მესმის!... მოურავო, თუ ღმერთი გწამს კელი აიღე მაგ ლექსებისაგან, თავი დაანებე მაგ გულდას, ისე მითხარი, ისე ილაპარაკე...

დიონისე.

რაზბონიკები ყოფილან!... ამ დროს? — ეს საკვირველია!...

მოურავი.

მეკი ამ შემთხვევამ ძალიან საქმე მიყო... ერთი კარგი ლექსი ხომ შევთხუზე ბუტულაშვილზედ, ახლა უყურე თუ რა ლექსი შევთხუკო ჩემს ბატონზედ!... დაუკვებნოვ მოგახსენებთ, რომ ჩინებული იქნება.

დიონისე.

ხომ დაიჭირეს ის კაცი?

მოურავი.

იქვე დაიჭირეს, იმ საათში... ბატონმა ბრძანა დაჭერა და შეგდება ოთახში, მანამ მდივანბეგს აცნობებდნენ... საცაა შემოიყვანენ აქეთკენ... (მივა ფანჯარასთან.) მართლა... მე მგონია... აგერ ისინი არიან, რომ მოდიან... დიახ, სწორეთ ისინი არიან!

მუზნო ახლა შემეწიეთ, იწყეთ დენა ყოვლის მხრითა,
სიხარულით მოვყვეთ ფრენას, შემიმკევით მხარნი ფრთითა:

(გავა.)

პელაგია.

ჯერ ჩემს გაჩენაში არ მანახავს თული კაცი, თუ როგორია! პირის სახე უფუთ საშიშარი უნდა ჰქონდეს.

დიონოსე.

აკი კნიაჟნა ქუთაისში ნახე ერთი ქურდი აზნაზი, იმისთანა იქნება რაღა! აღრეც, იმახლნენ თურმე მამა მოეკლა.

პელაგია.

(განცვიფრებით.) მამა მოეკლა!.. განა ქჳყანაზედ არიან იმისთანა კაცები რომ მამასაცა ჰკლამენ?.. (მივა ფანჯარასთან.) უყურეთ, უყურეთ... როგორი უმანწვილი კაცია... როგორი ტანი აქვს!... ახ! ხედამ დიონოსე როგორი მოწყენით არის! — არა, არა, ეს სრულებით თულს არა გავს!... მე როგორღაც მეცოდება ის საწყალი... ახ! შეუბრალებელო კაცო, ერთი უყურე თუ როგორის ცემით ათრევენ საპყრობილეში!... როგორი სასტიკად ექცევიან!... შეავლეს და კარს უკეტამენ. აი, ახლა კი დარჩა მარტო შემწუხდეული. რა ძნელია იქ ყოფნა იმ ბნელაში, იმ საწყლისათვის...

დიონოსე.

(თავისთვის.) ჩემზედ მგონია კი რომ ძნელი არ იყოს.

გამოსვლა 6.

აღრინდელები და დიასამიძე.

პელაგია.

(პელაგია.) მადლობა ღმერთსა მამა ჩემო, რომ

მშვიდობით დაბრუნდით, ას, რა მიხარიან!...

დიასამიძე.

თუ ღმერთი გწამს, შვილო პელაგია ნუღარ მამაგონებ... ახლა კარებში დამხვდა ჩვენი მოურავი და ლექსები ლექსებზედ მომაყარა მოლოცვისა.

დიონოსე.

მოურავი გვეუბნებოდა და ჩუენ არა გვჯეროდა.

პელაგია.

განა იმისთანა უმაწვილ-კაცი, იმისთანა კარგის სახის მქონებელი თუდი კაცი არის?

დიასამიძე.

სწორედ ვიცი რომ იმ კაცს უნდოდა ჩემი გაცვრ-ცვნა. მაგრამ ამას კი ვფიქრობ, რომ იმ კაცისათჳს ეს საქმე პირველი და უკანასკნელი საქმე იყო თავის სიცოცხლეში. საკვირველი შემთხვევა კი არის! ის კაცი მთხოვდა მოწყალებასა ღვდისათჳს. მეც მივეცი რამდენიმე შავი ფული, რასაკვირველია შემეძლო მეტი მიმეცა, მაგრამ იმისათჳს ვისა სცოდნოდა მაშინ, როდესაც რომ მე გართული ვიყავი, კურ-დღლების ჭერაში და ძაღლების ყეფაში. ხომ კარგათ იცით დიონოსე, როდესაც კაცი გართული არის თავის თავის კმაყოფილებაში, მაშინ ეგრეთი გულ-მოწყალეული არ არის. ერთის სიტყვით უნდა გითხრათ რომ იმ კაცმა დამიწყო თხოვნა, ზურგი მამე-ცით. რა მოვჭორდი, ფიცხლავ მომვარდა ხმალ ამოღებული, მაგრამ შემიძლიან დაგიფიცო, რომ ის კაცი მაგ ქურდობისათჳს არ არის დაბადებული.

პელაგია.

სწორეთა ბრძანებთ მამა ჩემო.

დიასამიძე.

რომელსაც რომ მტაცა კელი, შევატყე რომ კანკალებდა. პატარა უმანკოსაც კი შეეძლო იმისი მოტყუება. ახლა მე დიდათა ვწუხვარ, თუ რისთვის შევიპყარ ის საცოდავი და არ გაუშვი წასული იყო თავის გზაზედ. ერთი მანეთი რომ მიმეცა იმ საწყალისათჳს ეს საქმე არ გარდამხდებოდა. — დიონისე!. მოდი ერთი ერთათ მოვილაპარაკოთ ამ საქმეზედ, და თუ შეიძლებოდეს გამოვაშვებინოთ ის, კაცი მინამ საქვეყნოდ არ გამხდარა იმისი დანაშაული. (უნდა გაიყვანოს მეორეს ოთახში.)

პელაგია.

მამა ჩემო, მე და დიონისე დიდი ხანი არის რაც რომ ერთათ ვლაპარაკობდით.

დიასამიძე.

ქორწინებაზედ?

პელაგია.

მე უთხარი რომ...

დიონისე.

(შეშფოთებული.) თქვენის ბრძანებით კნიაზო...

პელაგია.

არ მიჯერებს რომ მე ეს..

დიონისე.

მე არც კი მიკითხავს თქვენთჳს კნიაჟნა!...

პელაგია.

ღმერთს ერწმუნე მამა ჩემო, მე მხოლოდ ის უთხარი, რასაცა ვგრძნობდი.

ლიონოსე.

(ხელით აჩვენებს მეორეს ოთახს.) თუ რომე გნებავსთ კნიაზო ჩემთან მოლაპარაკება, ინებეთ გავიდეთ სხვა ოთახში.

პელაგია.

მაგრამ მამა ჩემო, ძალიან მშიშარი კა ყო...

ლიონოსე.

მაგაზედ მერმე ვილაპარაკოთ. ჯერ დრო არ არის.

ლიასამიძე.

ფუ!... დასწყევლა ღმერთმა და დამამათა, ეს რო-გორ არეულით ლაპარაკობენ!.. ამის რას ნიშნავს!... თქვენ ერთი ერთმანეთის სიტყვას არ იგებთ. პელაგია, რასაც ამბობს შენ თვითან გესმის თუ არა?

პელაგია.

თქვენცა ჯარიმე მამა, ერთი ყური მიგდეთ, მე ყოველის ჯერს მოგახსენებთ!... თქვენ თვითონ არ მომცეთ ნება, შეყვარეთა ის, განა მე მსურს?

ლიასამიძე.

სწორედ. ახლა რაო?

პელაგია.

(ლიონოსეს.) გესმის თუ არა? ახლა?

ლიონოსე.

(ცრემლდასხმულს თვალებზედ მიიფარებს და ტირ.)

მომატებულ კნიაზო სასხლით წამოვარდა ცხენიდგან.

ლიასამიძე.

(მოწყვეტის უკან.) მე თქვენ მოგიცდით, ჩქარა მოდით. (უნდა გასვლა.)

პელაგია.

მამა ჩემო! პატარას ხანს მომითმინეთ თქუჱნთან მოსალაპარაკები საქმე მაქვს, დიდ საქმეზედ.

ლიასამიძე.

(იცინის.) დიდ საქმეზედ? — გონია ახალის საკა-ბის ყიდვა გინდოდეს, ან კიდევ იმისთანა სხუა რამ... (გავა.)

პელაგია.

(მარტო.) საკაბე.. მართლა რომ საკაბეც მინდა, კარგა რამ მომაგონა მამა ჩემმა. (ხელცახოცით იფარავს პირზედ.) არა. ეს არამშვენის; პირისახე იმისათჳს მეწყინის რომ გული აღშფოთებული მაქვს. (ხელს გულზედ იდებს.) როგორი იცემს... მე ძა-ლიან მიყვარს დიონოსე — ეს სწორეთ მართალია!.. მერამიძე კი ასე მგონია რომ კაცი არ არის მეოქმი, რომ უყურებ პირზედ სიცილი მომდის; მამა ჩემმა რომ მომცეს იმას, მაშინ უყურეთ თუ რას საქმეს დავასწრებ, ერთის სიტყვით არ მოეკასკენებ. (მიდის ფანჯარასთან.) ის საწყალი კიდევ საპყრობილეში გდია (შიშით.) ახ! რა საშინელება არის იქ მყო-ფისათჳს! ნეტა ვიცოდე, სასმელ-საჭმელსაცარი არ აძლევენ იმ საწყალს. (ფანჯარის მოურავს.) მოუ-რავო! მოურავო! აქ შემოდი ჩქარა! — ის საცოდავი კაცი როგორღაც გულში მაწონს, ამისთჳს რომ

თავისა თავი შეუწირავს თავის ღვდისათვის; ამას ცუდი და ბოროტ-მოქმედი კაცი, მგონია რომ არა იყს. მიუტანე რამე საჭმელად.

## გამოსვლა 7.

პელაგია და მოურავი.

მოურავი.

მინამ თქვენ მობრძანებოდით კიდეც მიუტანე.

პელაგია.

რა მიუტანე?

მოურავი.

ცარიელი პური და წყალი.

პელაგია.

როგორ არა გრცხვენიან რომ ცარიელი პური მოგქონდა. მიუტანე რამ კარგი საჭმელი და ერთი ჩარექიც ღვინო.

მოურავი.

თქვენის ბრძანებას ბარემ კი აუსრულებდი მაგ-რამ, მამათქვენისა რომ მეშინიან. გამიწყრება რომ შეუტყოს სხვა რამეც მიმიტანია. თვითან ბატონმა ბრძანა პურისა და წყლის მეტი არა მისცეთო. თორემ ცუდად მოგექცევითო.

პელაგია

მაშინ გიბრძანებდა, როდესაც რომ გაჯავრე-

ბჲული იყო.

მოყრავი.

მე კი უნდა მტკიცეთ ავასრულო თქვენი ჭიიმე ჲ.

პელაგია.

როგორი სულელი კაცი ხარ. თმა გაგთეთრებია, და არ იცი რომ ნუგეში უნდა სცე უბედურსა — მომეცი გასაღები საპყრობილისა, მე თჳთან მივალ და მიუტან რასმეს.

მოყრავი.

ვერ შემიძლიან აღვასრულო თქუენი ბრძანება. ბატონი გამიწყრება.

პელაგია.

მომეცი მეთქი, თორემ მე ვიცი.

მოყრავი.

(აძლევს გასაღებს.) ახლავე წავალ და თავს ვიმართლებ ბატონთან.

პელაგია.

საითაც გინდა მიბრძანდი. (ჩქარა გავა.)

მოყრავი.

(მარტო. ჯერ დაჩუმდება, მერე თავს იქნევს.) ხედამ რა მოთხრა, არა, რა რაგია ეს ყოველდღე კაცის წყენაში შედიან. მეც, მეტი რა ჩარაა ვითმენ? ამ ბატონისან ქნიაგინასაც ჰგონია რომ კეთილს საქმესა შველის. ის კი არ იცის, რომ ნათქვამია. ვინც იპარავს ის ქურდიაო და ვინც ქურდსა შველის ისიც ამხანაგიაო. (გავა.)

(ფარდა დაეშვება.
დასასრული მესამის მოქმედებისა.)

# მეფე ერეკლე მეორის განჩინება.

იდ — სოფლის მოხელემა ნაცვალმა, ქეხსამ, ანუ მამასახლისმა ამ დამწერობის წინა აღმდეგი თურამ დაამშაკოს, ექუსი თუმანი ჯარიმა წაერთოს ჩუენის ბრძანებით და სხუას სასარგებლოს ჯარგებს მიეცეს; თუ ფეთრი არა ჰქონდეს, მამული დაესყიდოს.

იე — თუ თავადი ან აზნაური ახალის თვის პირველის რიცხვთ წინა დღეს ჩუენთან არ გამოცხადდა და მზათ არ გვეჩვენა მას ის გარდასხდება, რაც გარდასახდელი დავეწერია. თუ ერთს დღეს დააკლდა, ერთი ჯარიმა წაერთმევა. თუ ორი დღეს, ორი ჯარიმა; ერთის სიტყვით. რამდენ დღესაც დააკლდება იმდენი ჯარიმა გამოერთმევა. თუ გაიპარა, ან კაცი გააპარა, ან დამწერობის წინააღმდეგი რამ ჩაიდინა, სამად და ოთხად გარდასხდეს, თავადს თუ აზნაურს, თუ გლეხს.

ივ — აგერეთვე გლეხი თვის უკანასკნელს რიცხუს თუ ჩუენთან მზათ არ მოვა და ერთდღეს დააკლდება, ის ერთხელ სრულად წკეპლაში გაიტაროს, თუ ორი დღე დაიგვიანოს ორჯელ გაიტაროს, და რამდენიც დღე დაიგვიანოს იმდენჯერ გაიტაროს. თუ გაიპაროს ოთხჯერ გაიტაროს წკეპლაში. თუ შინადამ არ წამოვიდეს, თუ ვერც მოხელემ და ვერც მებატონემ შეიძლოს იმისი გამოყვანა და დამალვა დაიწყოს აქა და იქ ტყეებში და სოფელ-ში, ის კაცი სოფელმა ან იპოვნოს და ან მოგვცეს, ექვსი თუმანი ჯარიმა გარდაიხადოს და ეს ჯარიმა ჩუენის ბრძანებით იმ

დასტებს გაეყოს, რომელსაცა გაქცეული კაცი არ შეუთვნოდეს. თუ მან სხვა სოფელში ბუნაგობა და დამალვა დაიწყოს, თუ ერთი კომლი ნათესავთა ან მოყვარეთაგანი და ან სოფელი მალავდეს. იმათ ან ის კაცი მოგვცენ, და ან ექვსი თუმანი ჯარიმა გასწიონ აგრეთვე თუ ერთი კაცი მალავდეს, იმანაც ექვსი თუმანი ჯარიმა გაჰსწიოს, და ის ჯარიმა, როგორც ზევით დაგვიწესებია იმ რიგათ ჯარებს გაეყოს. თუ ის გაქცეული კაცი ცოლშვილით თავის სოფელს გაეპარა, ეს ჯარიმა კიდევ იმავე სოფელს გამოერთვას. თუ ვინმემ იმისი გაპარვა იცოდეს, და არ გამხილოს, ექვსი თუმანი იმას გამოერთვას; უკეთუ არ შეეძლოს, სახლი, კარი, მამული და დედული გაესყიდოს და ჯარიმა-ში გამოერთვას განწესებისამებრ და სხვა სასარგებლო ჯარს გაეყოს. თუ გაქცეული კაცი, სოფელმა ან ერთმა თავისმა, მეზობელმა ნათესავებმა, თუ მოყვარემ მოგვგვაროს, მაშინ ამ წინა სამართალს მიხედვით საქმე გაიშინჯოს და ბრალეულს შესაფერი სასჯელი მიეცოს.

იხ — ეს ყოვლივე დიდმა და მცირემ შეიტყოს, როგორათაც ჰსჯულის კანონის შეცვლა არ იქნება, ისე ამ ლაშქრობის და განწესების მცირედს რასმე დაკლებას ვერ შევიძლებთ. არცა ჩვენ დავარღვევთ, არც ჩვენმა შვილებმა და არც დიდ პირთ შუამავლობით დაირღვეს. და თუ ამ საქმეს შეეხოს ვინმე სამღვდელო ანუ დიდებული, თავადი ანუ აზნაური და გლეხი, კაცი ანუ დედაკაცი, რაც უნდა პატიოსანი ბრძანებოდეს, კანონსა და ბრალსა ქვეშე იმყო-

ფეხოდეს და სიტყვის მიცემა ყმართოს ღმერთთან სჯულითაც და ხორცითაც.

იჱ — რომელსაც თავადს მამულის და საქონლის ილაჯი არა ჰქონდეს, ის სატუსაღოში ერთი თვე დავებას ბორკილით, და ცარიელის პურის და წყლის და ღვინის მეტს ნურას მიაღებინებენ ზედა მდგომე-ლნი, და თუ ზედა-მდგომელთ შეუტყუვებით, რომ რაც არ დავიწერია სასმლისა, საჭმლისა, ის მიუ-ტანიებიათ, ის გარდასახდენი მათ გარდახდესთ.

ით — აგრეთვე აზნაურს, რომელიც ულაჯო იყოს ასი ფარეშის გამორჩეული ჯოხი დაეკრას და ერთი თვე იმავ წესით, რომელიც თავადის შვილებზედ დავიწერეთ, იმან ტუსაღობა გასწიოს საპყრობი-ლეში, მაგრამ მნახავი ნურც ერთი-თან ნუ მივა, გარდა იმ ერთ თვეს. პურიც თავისი ჭამოს და ღვინოც თავისი სვას. თუ ტუსაღი ავათ გახდეს, ის ჩუენის ბრძანებით აქიმმა ნახოს, და თუ ფიცით დაგვიმტკი-ცოს იმისი ავად-მყოფობა, კიდეც გამოუშვას. თუ ტყუილად მოუგონია ავად-მყოფობა, მოუმატოს ტუსაღობა და ამ-გვარნი დამნაშავენი ქალაქს უნდა დატუსაღდნენ და აქ აღასრულონ თავიანთი გარდა-სახადი სასჯელი.

კ — ამის პირის დავთარები სოფელ-სოფელ უნდა ებაროს მღვდელსა, რომელიც იქ მწირველია. და მან კარგად შეინახოს. თუ წახდება, ან დაკარგა, იმას ხარი წაერთვას. თუ სოფელში კარგად წიგნი არ ვინ იცოდეს, არცა მღვდელმა და არცა სხვა კაცმა, რომელიც ახლო სოფელში კარგი მწიგნობარი

იყოს, დავთარი იმას მიუცანონ. წაიკითხონ და შეი-ტყონ.

კა — თუ ერთს სოფელში ორი და სამის კაცის ყმა იყოს, თჳთო მებატონემ ამ დავთრის პირი ამოჰხსწერონ და თავ-თავის ყმისა თჳთონ შეინახონ, მუდამ იკითხავდეს, რომ ამ განჩინებას არავინ გარ-დახდეს; თორემ რაც დაწერილია, ჩუენ ამას ვერას მოვაკლებთ. ეს დაჯერებით იცოდნენ სახაზოს მო-ხელეთა და ეკკლესიის მოხელეთა, გარდასწერონ და შეინახონ.

კბ — თუ რომელმანმე კაცმა აღმოუჩინა წინააღმდე-გობა მინბაშს, ანუ ასის თავს, რომელსაც აზარია, იმას გარდახდეს დანაშაულობის მსგავსად: გაილა-ხოს, დაიბას ბორკილით და აგრეთვე ხუნდით. იმისი დანაშაული თუ ასეთია, რომ ჩუენი გასაშინჯავი იყოს, ჩუენთან მოიყვანონ.

კგ — ამ სარისტისა და საქმისათჳს. წელს ქართლი და კახეთი რომ გვწერეთ და იმ აღწერაში, რომელსაც ჩუენის მწერლებისათჳს კაცი დაუმალავსთ და არ დაუწერინებიათ, თავისმა ბატონმა და მოხელემ ამ აღდგომამდის თუ არ გამოაჩინა, და მასუკან სხვი-საგან ვპოვეთ, ის კაცი იმას წაერთმევა ან სახაზოდ დაიდება, ან სხვას კაცს მიეცემა.

კდ — თუ რომელიმე გლეხი კაცი, სახაზოში ანუ ეკლესიის ყმაში, ანუ სათავადო და სააზნაურიშვი-ლოში, მემკვიდრე თუ ხიზანი ასეთი იყოს, ერთს თვეში უქონლობით და სიღარიბით დაშქრობა არ შეეძლოს, იმ კაცს იმისმა მებატონემ და მოხელემ,

რომლისაცა იყოს, თვეში ხუთი თუნგი ღვინო და ერთი კოდი პური მისცეს. აგრეთვე სამყოფი მარილი ერთის თვისა, და ისე გამოგზავნონ შეუძლებელი თავის მემკვიდრეც და სიზანიც. ჩვენ ამაზე ბრალი აგვიხდია და შეგვიტყობინებია იმათ მებატონისათვის, რო მათ სამართლიანად საქმე გაარიგონ ხოლმე თავისის ყმიდამ და სისხლოდამ.

მე — თუ რომ ღვინო და პური არ იყოს იმ სოფელში, სადაურიც ის კაცია, მებატონემ, მოხელემ და გლეხმა კაცმა იმ სოფლიდამ ღვინის ფასით ჯინსით შეაჯერონ იმისი გული თავ-თავისმა მებატონემ და მოხელემ.

მვ — აქამდინ რომ სოფლებზე სამასპინძლოს შევაწერდით საჩვენოდ და ან ვინც ჩვენ გვიახლებოდნენ. ფასი სტუმრის სამასპინძლოს გარდა, ეს სამასპინძლო ამოგვიკვეთია ამ მიზეზით: რომელსაც ქართლსა და კახეთს წავიდოდით, სხვა მრავალი მეჯ-ლეფე კაცი გამოგვყვებოდა და ამ გზით სოფლის კაცნი შეწუხდებოდნენ, რადგანაც ეს ლაშქრობა ასე განწესდა, ეს ხარჯის მორიგეთ კაცთა თვითონვე მოიხმარონ.

მზ — ვინ იცის, ასეთი საქმე გამოჩნდეს რომ ერთის მხარეს ჩვენის ქვეყანაში ჩვენ წასვლა დაგვჭირდეს, მტრის საქმის გარდა, — მაშინ ამ განწესებულის ჯარის კაცისაგან რა-ერთიც გვინდოდეს და ჩვენის ამალისაგან ვინც ჩვენ გვინდოდეს და რამდენიც გვეწადოს, თან გვახლოს, და აგრეთვე ჩვენის კარის მოხელენი, მდივანბეგნი, სალთ-

ხუცესნი, ქეშიქჩიბაშნი, მდივნები, ბაზიერთ-ხუცესნი, ნაზირები, აგრეთვე ეშკაღაბაშები, ყორა-იასაულბაში, მოლარეთ ხუცესები და მუშრიბები, ქვლ-ჯოხიანები და იასაულები, რამდენიც და რომელიც გამჯობინოთ ისინი წავიყვანოთ, მცირე-მცირის კაცით, ამისთვის რო კვლავინდელისავით ჩუენ რომ მრავალნი ვია-ხლოთ, არც ჩუენ სარჯარს, და არც სოფლებს შეეძლებათ იმათ ხარჯი ლაშქრობის მიზეზით. ვისაც უწინ ოცი და კიდევ მეტი კაცი ჰყოლოდეს, დაჰს-ჯერდეს ექვსსა, და ვისაც ათი ჰყოლოდეს, დაჰსჯე-რდეს სამსა, ორსა გინა ერთსა; ამათის საქმისა და გაძლებისა, სანამდის ღვთით ჩუენ მოვბრუნდეთ და შინ მოვიდეთ, რითაც იქნება ღვთით ჩუენ რიგი უნდა მივსცეთ; მაგრამ, რომელსაც სოფელში მივი-დეთ, იმ სოფელმა უნდა გადგვიხადოს ძღუენი ღვინით და ხსნილში შეძლებით სახსნილოთი, და მარხვაში შეძლებით სამარხოთი; და ცხენის ქერისა ასე განგვიწესებია: აპრილიდამ ნახევარს ენკენის თვემდე ქერს ძღუნად ვერ გამოვართმევთ, სტუმარს გარდა, ნახევარ ენკენის თვიდამ მოკიდებული გასუ-ლს მარტამდის, ორის-სამის ლიტრით და ერთის ლიტრით ქერით ძღუენი მოგვართვან შეძლებით; თუ ორი ღამე დავრჩით, კიდევ ამავ რიგის ძღუენი მოირთვან, და მორიგის ჯარი, რომელიც გვახლდეს, იმან თავისის განწესებისამებრ გასძლოს, მაშინაც ხომ იმას ერთის თვისა თან ახლდება, არც იქნება რო არა ჰქონდეს.

კჱ — თუ რომელსამე კუთხეს, ან ჩუენ, და ან

რომელსამე ჩუენის შვილებისაგან, მტრის მიზეზით მიშველება მოუვიდეს, რამდენის კაცთაცა მიეშველნენ, მაშინ იმ ახლო-მახლო სოფლებმა, რომელთაცა მართებულთა და შეძლება იყოს, რომელნიცა მაშინ მორიგე კაცნი იქნებიან, იმათ გარდა. ჩუენთვის და სხვას ჩუენის ჯარისა-თვის სურსათი უნდა მოგვცენ, კომლის კაცით მიგალით, თუ ნაკლებ კომლის კაცით.

კთ — როდესაც მორიგე კაცი მომსვლელია, ვინ იცის, ასეთი ავდარი იყოს: ქარი, თოვლი და წყლების სიდიდე რომ წყალმა დაიჭიროს, იმას ვერას უსაყვედურებთ, თუ ვადაზე ვერ მოვიდა, მაგრამ სადაც გაუავდრდეს, იქავ ახლოს სოფელ-ში მოიცადოს, და იმ სოფლის კაცნიც უნდა მოწამედ იყოლიოს, რასაც დღეს მოსულ იყოს იმ სოფელში; იქიდამ შინ ნუღარ გაბრუნდება. როდესაც გზა ვეღარ დაუჭიროს, ვერცა ჭაურმა და ვერცა წყალმა, მაშინვე ჩუენ-თან წამოვიდეს; თუ იმ სოფელს ლუკმა მოუსდეს, და მდევრობაში დაესწრას, თავის სოფლის მოწმობით იმასაც ჩავუგდებთ.

ლ — თუ ზემო ქართლში გიმყოფებოდეთ, ან არაგვზედ, ან ფამბაკ-ში, ან ყაზახ-ში; და კახეთის მორიგე თავის ვადა-ზე ქალაქს ჩამოვიდეს თავისის რიგის აღსასრულებლად, მაშინ ის მორიგე კაცი უნდა მაშინვე წამოვიდეს იმ მხარეს, სადაც ჩუენ ვიქმნებით, და რამდენისაც დღის სავალია ჩუენამდე, იმას ჩუენ ჩავუთვლით და არას უსაყვედურებთ.

ლა — აგრეთვე ქართველთაც ასე ვუანგარიშებთ,

კახეთსა ქართ, ყაზახს, ბორჩალო-ში, ფამბაკში, და როგორც ჩუენ უფრო მარჯვეს გზაზე დავიარეთ, ქალაქს ნუღარ მოვლენ: რასაც კაზე დავიარეთ მორიგე იმ გზაზედ წამოვიდენ უკუდგინიდამ

ლბ.—თუ ერთს სოფელში ერთს მღვდლის მეტი არ იყოს, იმისი წამოსვლა არ იქნება: იმან ბალადი დაიჭიროს და ის გამოგზავნოს; თუ ორი იყოს, თავ-თავიანთ რიგზე წამოვიდნენ.

ლგ—გუთნის დღისა რო დაგვიწერია ბალადის გამოგზავნა, რომელსაც ხვნის დრო არ არის, მაშინ თვითონ უნდა წამოვიდეს, იმას ბალადს არა ვჭერვართ.

ლდ.—არიან ყოვლად სამღვდელონი, ეპისკოპოზნი, არხიმანდრიტნი, წინამძღვარნი და მათის ყმის მოხელენი და მოურავნი, რომელთაგანიც ზოგნი შემძლებელნი არიან, და რომელთაც თავიანთის ყმის გამოყვანა შეუძლიანი ზოგისა და ზოგისაცი არა, მაგრამ ამ ლაშქრობაზე ის დამნაშავე კაცნი ველში რომ ვერ ჩავიდონ, იმისი სახლის მამულით და დედულით და საქონლით შემძლებელნი ველში მოვცენ, და არც იქნება, რომ ომში ერთი არ მოგვცენ. რომელნიც რომ შემძლებელნი არიან, თუ ისინი არ მოგვცეს და ან დამნაშავე კაცი არ აღმოაჩინეს, სოფელს გარდავახდევინებთ იმას, რაც ზევით დაგვიწერია.

ლე—რომელთაცა ყოვლად სამღვდელოთა, ეპისკოპოსთა, არხიმანდრიტთა, წინამძღვართა და მათ მოხელეთა, კიდევ თავადთ და აზნაურთ და მათ მოხელეთ

და კიდევ ჩუენის სახასოს უმათ, მოხელეთ უფლის ვიცნობთ შემძლებელად ამ საქმეში, და აგრეთვე შეუძლებელთაცა, ამათგანში რომელსაცა იმ ყარმიოს დამალულის კაცის მოყვანა მალით არ შეუძლიანთ, იმას არას უსაყვედურებთ, და ამ დამნაშავეს კაცის გადასახდენს, როგორც ზევით დაგვიწერია, გარდა-ჯახდევინებთ სოფელს, და აგრეთვე კიდევ იმის დამ-მალავს კაცს, თუ ის კაცი არ მოგვცეს გადამალის.

დ"გ — რომელსაც მებატონეს სამღვდელოს, თუ საეროს, და მოხელეთ, და აგრეთვე სოფელს, ვინა ერის კაცს, შეუძლიათ, იმ დამნაშავეს კაცის მო-ყვანა და არ მოიყვანეს, იცოდნენ, რო იმ ჩუენო წერილის განჩინებისამებრ გარდახდებათ.

დ"ზ — ვინ იცის, სამისა და ოთხის დღის ავად-მყოფობა გამოიაროს ერთმა კაცმა, და მალე მორ-ჩეს და წამოსვლასაც შეიძლოს, მოწმობის შემდგომ კარგი მგზავრი იშოვოს და წამოვიდეს უფლისა თავის რიგში, თორემ რაც გარდასახდენი დაგვიწერია, ნახევარი უთუოთ გარდახდება, და გარდახდება კიდეც, იცოდნენ.

განჩინება ესე დაიწერა თვესა ივნვარსა ა-სა, საცხოვრის ღმრთის განხორციელებითგან წელსა ჩღკდ-სა და ქორონიკონს ფიბ.

# პასუხი.

---

ეს პირველი ბედნიერებაა ჩემი ცისკარში ხმის ამოღებისა. ამისთანა შემთხვევაში უცნობ პირსა მართებს დიდი სიფრთხილე — საზოგადოებაში გამოსვლას აპირებს თუ ჟურნალში. თვითეული მოძრაობა, მიხრა-მოხრა, სიტყვა-პასუხი წინათვე უნდა განსაჯოს, რომ მეტ-ნაკლები არა გამოვიდეს რა. საზოგადოებითი ჭკუა დიდი რამ არის: თუ მოიწადინებს, დღეს თავზედ დაგისხამს, ხვალ ისეთ ქაცად გამოგიყვანს, ვითომც შეგეძლოს ციდამ ვარსკვლავების გარდმოხრეტა.

დაბიურ ხალხში და ვგონებ, სიბრძნე-სიცრუეშიაც არის ერთი კარგი ანდაზა: ვაჟა-კაცი დააქორწილეს და მრავალნი დაპატიჟეს ჩინებულ პირთაგანი. მეფე კი გაუხსნელი იყო, — არა ენახა-რა გვირგვინისა და ქალის მეტი ერთი სიტყვით, გაუთლელი იყო; მაგრამ შინაურ მოხუცებულთა დაარიგეს: ვინძლო სტუმრობაში მძიმედ ილაპარაკო და მოიქცეო. იმან ნამდვილად აღასრულა ეს დარიგებანი: მრიელ ცოტას უბნობდა, მაგრამ თუ იტყოდა რასმე, უთუოთ უნდა მოეყვანებინა ან დიდრონ-დიდრონი მთები, ან მაღალ-მაღალნი სპილოები, აქლემები და სხვანი.

ეს ანდაზა როგორღაც თავის-თავად მომაგონდა, როდესაც წავიკითხე უურეწველის ცისკარში იხზულება უბლ. სავანელისა: მ კ ი თ ხ ვ ე ლ თ ა დ მ ი. ავტორი ეს მეორეთ უდიდებს მსაჯულებისაგან

ხმით ჟურნალის მკითხველთა. მარტივად, შინაურულად არაფერს ამბობს. რუსთაველის სიტყვისამებრ, რადასაც

ქმებს, უმახის, ჟუივის—

და ბოლოს გამოდის არაფერი, თუმცა თავის თხზულებაში უ. სავანელი მოიხსენებს ფილოლოგიასაც, კლაპროტსაც, კარამზინსაც და სხვათა დიდრონ პირთა და საგანთა. ამას უკადრებათ-კი ნუ მიიღებს პატივ-საცემი ავტორი. არა, ჩვენ დიდათ მადლობელნი ვართ სწავლისათვის, მაგრამ, იქნება იმდენიც არ შეგვიძლიან, ჯალო. ჩვეულებრივ გველაპარაკეთ, რომ უფრო მტკიცედ გავიგოთ და დავინერგოთ ჰსწავლა. ჩვენი ერთის წლის ჟურნალი ჯერეთ ვერ აიტანს ფილოსოფიასა და ფილოლოგიასა, და თუნდ კიდეც დაიტევდეს—საგანი ისეთი აირჩიეთ, რომ მტკიცე საფუძველი ჰქონდეს.

თქუენ ბრძანებთ, რომ «აქამდის არავინ არ მიიღო შრომა განმარტებისათვის ჩვენის ქალაქის სახელისა და მართლ-მწერლობისათვის მისისა.» ამაზედ მოგახსენებთ: იმიტომ არავის არ მიუღია ეს ამაო შრომა, რომ დიდი ხანია გადუწყვეტიათ და დაუწესებიათ ჩუენზედ ჭკვიან კაცთა, რომ ჩუენი ქალაქი ნამდვილ ტფილისად უნდა იწოდებოდეს. თქუენ ცდილობთ დაამტკიცოთ წინააღმდეგი, გასამტყუნებელად ყოველთა, ვისაც საფუძვლიანად ჰსცოდნიათ ქართული ენა და უხმარიათ ტფილისი. იქნება თბილისსაც ბევრნი ჰსწერდნენ, მაგრამ უკანონოდ. აი მიზეზი წარმოვიდგინოთ:

თბილი არის სიტყვა, გარყვნილი სი[illegible],

სახალხო ხმარებაში.—ესევე ლექსი საღმრთო წერილში, ესე იგი ძველის ქართულის ენით გამოთქმის: ტ ფ ი ლ ი. თუ არა გჯერათ, აიღეთ სახარება, იპოვნეთ იოანესაგან თავი 18 მუხლი 18 და წაიკითხეთ: «ნაკუერცხალი აღეგზნა, რამეთუ ყინელი იყო და ტ ფ ე ბ ო დ ე ს, ხოლო მათ-თანა პეტრეცა და ტ ფ ე ბ ო დ ა. მერმე საქმე მოციქულთაში ნახეთ თავი 28 მუხლი 3: «ვითარ შეჰკრებდა პავლე ქარქვეტსა და დაასხმიდა ცეცხლსა მას ზედა, იქედნე სი ტ ფ ო ჲ ს ა მისგან გამოხდა», და სხ.

ვგონებ, ეს მაგალითები სამყოფი არის თქუენ დასარწმუნებლად, რომ ტ ფ ი ლ ი უაზრო და სასაცილო ლექსი არ არის. ახლა გვიპასუხეთ: რომელი წოდება ურჩევნია ჩუენ მწერლსა დედა-ქალაქსა, ნამდვილი ქართული თუ გარყვნილი დაბიური? მაშა ჴსჩანს, არა სცოდებიან მწერლი წიგნები, ამ ქალაქში დაბეჭდილნი, არცა მაშინდელნი საქართველოს მწერალნი და მსწავლულნი, რომელთაც უხმარიათ ტ ფ ი ლ ი ს ი და არა თბილისი; მაშ არც ქართული ორბაზიანი ტყუის თჳსის ზედა-წარწერითა, არცა თჳთ ცისკარი ტყუილად აქამდინ, რომ ხმარობდა ტ ფ ი ლ ი ს ს გარეგან ფურცლებზედ, მაგრამ ფებერვლის წიგნიდამ კი დაიწყო თ ბ ი ლ ი ს ი. ჟურნალს არ ემართა ასე მსწრაფლად უარ-ყოფა ერთხელ მიღებულის კანონისა, უსაფუძვლოდ; ჯერ უნდა მოეცადნა, ვით გადაწყდებოდა საქმე, დიდის ამბით აშენებული უ. საკანელისაგან.

იმედი გვაქუს, რომ ავტორი საკიცხავად არ

მიიღებს ჩუჱნ მცირე პასუხსა, რომლითაც ვასრულებთ მისსავე საკუთარსა უყმაწვილესს თხოვასა. ხოლო ჩუჱნის მხრით ცისკარსა უმდაბლესად ვჰთხოვთ, პირველ შემთხვევაში ამ მცირედსა ზედა სარწმუნო იქმნას, და შემდგომისათჳს ვეცდებით, შემძლებისამებრ...

ნოტა-ბენე.

ტფილისს.
17 ფებერვ. 1858.

# სალაყბოს ფურცელი.

---

თავის გამართლება მოლაყბისა მკითხველთან.— მოლაყბისაგან ქართველების სიყვარული.— შურის-მიება მოლაყბეზე.— ბოროტ-მოქმედების დამარცხება.— საუბარი მოლაყბისა და დარბაისელის შორის.— მოლაყბე და არა მოლაყბე.— მარხვა ტფილის-ში.— ქაღალდის თამაშობა და მისი ბოროტება.— სურვილი მოლაყბისა.— მოლაყბისაგან თავის დასარჩობლად განმზადება და მისგნით დახსნა.— შემწეობის თხოვნა დარბაისელთაგან.— მდაბიო ხალხისაგან «ცისკრის» სიყვარული.—

---

ჩემს საყვარელს ქართულის ენის მოყვარეს ქართველს გახლავარ სამსახურში უმორჩილესი მონა! მომიტევეთ, მცირედი მამიგვიანდა თქვენთან საუბარი! რავქნა, არცა თუ დანაშაული მაქვს თქვენ წინ! არ იფიქროთ, რომ ვითომც მოვღალულ ვიყო, თქვენთან საუბრითა, არა, არაოდეს. მერწმუნეთ, ერწმუნეთ ჩემს ლაყუბობით მაგონისნებასა რომ, ჩემთვის დიდი სასიამოვნოა თქვენთან ხშირად საუბარი.. კარგად იცით, ვისაც ვინ უყვარს, ყოველთვის გულით და სულით იმასთან არის; ვისაც ვინ უყვარს, ის ხშირად

იმის შეცადინეობამან, ესე უბრწყინვალეს თავის საყვარელს სავანს. საყვარელნო ჩემნო მეგობრებო! ქვეყანო ქარ-თველნო! (თქვენს მეტი ვის არავინ კარგად იცის ჩვენს ენაზედ თხზულების მნიშვნელობა, ჩვენის ლიტე-რატურის მეგობრებო — არის ქომაგებო!) ნება მიბოძეთ გულწრფელობით გამოგეთხოვო თქვენ წინ, რომ თქვენს ქომაგობას მიჰყავს და მოსამსახურეს, თავის საზო-გადოებიდან განშორებულს, უდიდეს ... დასტუ-მებულს, საქართველოს მოდავეებს ამის თქვენი დიდი საყვარელი, და არა თუ ერთი ... თქვენ, თითქ-მის უკანასკნელის ქართველობისაც, — ... ჩვენს ხამშობლო ენას, რომ რასაც ... წარსულს წელს, რასაც ვიცი ახლა და რასაც ... მომა-ვალში, (თუ გიცოცხლე, თქვენის ...) ყოვ-ლისფერს ვიცოდე, ვიცი და ... თქვენის ბედნიერებისათვის, ჩვენის საზოგადოების მოქალაქეობისა-თვის, ჩვენის განათლებისათვის. განა ვისაც ვინ უყვარს ის მისთვის ცუდს მოინდომებს?... იქნება ზოგიერთ საყვარელნო მკითხველნო! თუ გიყვართ ქართველნი, რატომ აქამდისაც არ შეიქმენი მენის დაუზრუნველად და დახმარებითა? (ყოველს მართალს ჩვენ დაუზოგობას და დაუზარებლობას გვემართ) ამაზე მართალნი ბრძანდებით. მაგრამ რა ვქნა? წყეული შურის-მგებნა არის მიზეზი, წყეული გაცთობრიობითი ბოროტებას!.. ეს არიან ცდილობდნენ ჩამოეგდოთ მე და თქვენში იმედიანება, მაგრამ წყალობით ღვთისათა განკარგულებით, განვცხადებ ყოველივე ბოროტება, დავამარცხე, ჩაგდებული ... ახლა

თავისუფლობით ვსუნთქავ, ახლა დრო მაქუს თქუენთან საუბრისა, მაშასადამე საიდგან დავიწყო? ჩემს გონებაში ირევიან ამ გზობით სხუა და სხუანი აზრები, არ ვიცი რომელი აზრი ავიღო საგნად საუბარისა?.. ჰო, დიახ! კარგა რამ მომაგონდა, ამ ცოტას ხანში შემხვდა, ერთი პატიოსანი დარბაისელი, ქართულს ენაზედ თითქმის კარგათ ნასწავლი, შემაყენა გზაზედ და მკითხა: მამაშენი იოთამ ნუ წაგიწყდება, ერთი შეასმინე ამ ჩემს ყურს, რას ნიშნავს კომპრაზიტორიო (კომპოზიტორი). «ცისკარში» ვიღაც მოლაყბე რომ გამოჩენილა, ამ უკანასკნელს წიგნში ეს-რა მოუქარავსო, ეშმაკმა იცის და ქაჯმა რას ნიშნავს: ბელიანი, ცეტი დონი (დონიცეტი) ვაგნერიო. — რასაკვირველია მე მოუყევი დამტკიცებას რასაც ნიშნავდა, მაგრამ შენ არ მომიკვდე! ყურიც არ აიბრუნა ჩემს დამტკიცებას და მიპასუხა: როგორც ვხედავ შენც გასულელებულხარო, შენმა სიცოცხლემ, კურთხეული მამაშენი იოთამიც დაბრძანდებოდა თეატრებშიაო. თქუენ ოხერებო, ქრისტიანური სახელები ასხენით, ვიდრე ეშმაკურიო. უგვარო აქა, უგვარო იქა, უგვარო ბანზედ, უგვარო ჭერშიო, — მე უეცხლავ სიცილი მომივიდა და რა განვშორდი, უკან მომძახა, შე ოხერო, შენც რომ არ გესმის, მე რა უნდა შემასმინოთო. — აქ მკითხველი კარგათ მიხვდება, რომ ზემოხსენებულმა პირმა მკითხა იმ სახელებზედ, რა სახელებიც იყო ნახსენები იანვრის «ცისკრის» სალაყბოს ფურცელში უფ. მოლაყბისაგან, ეგე იგი ჩემგან. და არა

ჩემგან! ახლა ამაზედ გამკიცხავთ, როგორ შენგან და არა შენგანაო! ეს ჯერ ჩუენში დარჩეს, თუ მშვიდობაა, შემდგომში განვიმარტებით, ამ ზნელს აზრს. ის უფ. მოლაყბე ესე იგი მე და არა მე, ამასაც იძახდა «როგორც მითხრა ყურში, ბევრნი სამღდელონი კაცნი დაჰპირებიან რედაკტორს დახმარებასაო» ეს ყურში და ჩუმათ თქმა ბევრი გავიგეთ და ცხადად-კი ჯერ ვერასა ვხედავთ?... ჰო, თუ იმისთანა დახმარებასა ბრძანებს მოლაყბე, ესე იგი მე და არა მე, როგორის თხზულებითაცა ეხმარების თ. სადაცა ხმარობს სომხურს ლექსებს:» მჟუათი ნაცვლად ბეჯითი, ანუ წასხსავს თავადთ-აზნაურთ!... თითქოს ცხვრებს წასახსავლეს და სხ.—ამაებს თუ გამოუდექი ახლა შორს მოვა, ესენი სულ შემდგომისა-თვის დარჩეს.—ახლა როგორც უწყიან საყვარელთა მკითხველთა, არის მარხო, ყოველგან მეფობს ჭმუნვარება, ყოველი ამ სოფლიური საამოვნება თითქმის დატმვებულია, ყოველთა აძევთ შუბლზედ ბეჭედი ჭმუნვარებისა, ყოველი მეცადინეობს განიწმინდოს ბიწიერებისაგან, გარნა ვერა რომელიმე მარხო, ვერ გვატევებინებს ერთსა ბიწიერებასა, რომლისაგანც წარმოსდგება მრავალი ბოროტება.—ქაღალდის თამაშობა! საკვირველია რომ ამ ჩუენს ხალხში მეფობენ ორნი უმთავრესნი საგანნი: ან უნდა კრივში ვიყვნეთ და იქ დავკარგოთ ტყუილათ დრო, და ან უნდა ვითამაშოთ ქაღალდი და შევწიროთ ამ კმაყოფილებას ორი, სამი ღამე უსარგებლოთ.—იტყვით რა ბიწიერება არის ქაღალდის

თამაშობათ? ათასჯერ! რა ბედნიერება არის, რომ ზოგი ერთს რა ფული შემოეწყლებია თამაშობაში, გაუხდია ტანისამოსი, მოუხსნია ხმალი, ხანჯალი. საათი და დაუწყვია სტოლზედ, სადაც ისიც წაუგია; რა ბედნიერება არის, რომ, ზოგს რა ფული შემოეწყ-ლებია, გაუტანია თავის ცოლის ნივთები და დაუწ-ყვია სტოლზედ, სადაც ისიც წაუგია, რომლისა მიზეზით საცოდავი ერთგული მეუღლე მჯდარა სახ-ლში და განბანილა ცხარე ცრემლში, რომლისა მიზეზით უწყევლია საცოდავს თავისი უბედურებითი ჩვეულები. რა ბედნიერებაა! რომ ზოგი ერთს ისე გასჯ-დომია ქაღალდის თამაშობა, ისე დახნეულებულა, რომ რა ფული არა ჰქონია, მოუხმარებია მეცადი-ნეობა და გამოუსახავს საშინელი აზრი, რათა მოი-პაროს სადმე და თავისი კმაყოფილებითი თამაშობა მოიყვანოს აღსრულებაში!... თუ გადავხედავთ წარ-სულს წელს, ამისთვის უფრო არ ვუმატებთ ჩვენს ჩინებულს თვისებასა. რა გაგვტეხს ჩვენა, თუნდა თვითან მე! წარსულს წელს არ აღვითქვით რომ ხმა აღარ ამამელო იმაზედ მეტი და აღარა მეთქვათა, ახლა ეს მკითხეთ, დავიშალე? მაგრამ, არცა თუ გარ-გასამტყუნარი, ეს წყეული გული არ მეშვება, ეს წყეული გრძნობა ხელს არ იღებს. ჯიღავ, ჩვენში, უმეტესი ჭკუა, გონება, ნიჭი არის და მოხმარება: კი არ შეგვიძლიან! მაშასადამე როგორ მოვითმინო და არ წარმოვსთქვა ჩვენის თავის და ყოველთა სახლისთვის წინა-აღმდეგი თვისება, როგორ არა ვსთქვა რომ, ღროებისა ქაღალდის თამაშობა-

ჩათჳს ჟუჟღუნს მაღლა გმირულობით საითკენაც უნდა იყოს და საზოგადო სასარგებლო საქმეზედ ცალი-ფული არ გვემეტებია!... ნუ გეწყინებათ რასაც გეუ-ბნებით ღვთის გულისათჳს, გული მიკვდის ჩვენს ქცევაზედ და ვუყურებ ჩვენს ქცევას, თუ ვამბობ რასმეს, ჭეშმარიტად თქუენის სიყვარულისათჳს, გულშემატკივრით ქართველთა, რომელნიც ნამდვილი ქართველი, ღვთის გულისათჳს იყვნეთ ნამდვილნი ქართველნი; ღვთის გულისათჳს გიყვარდეთ თქუენი ენა, თქუენი მამული, ვიდრე განვიმეორებ თქუენის სამშობლო ენის მკეს (ამაზედ უწინდელსა ფურცელსა არა მგონია იყოს, ვისაცა გრძნობა აქვს და გსმის.) ყური დამიგდეთ, გამიგონეთ რასაც ვამბობ, ვითომ საყვარელნო მეგობარნო! ღმერთი არის გამკითხველისა, გიყვარდეთ ყურის-გდება, გიყვარდეთ წერა, კითხვა, სწავლა, თქუენდა ლამაზედ, ართიეთ საწყალი მოდარაჯე. თუ გსურთ, მხოლოდ გულგრილად კი ნუ იქნებით ჩვენს ნათქვამზედ. ყოველის დღის-მიებით ვეცადნეთ გავისწოროთ ჩვენობა ჩვენი, წამხდარი ჩვენობა ქართველთ არ შეშვენისთ, ვიფიქროთ მომავალზედ, ვიფიქროთ ჩვენთ შვილის-შვილზედ; ვიფიქროთ ჩვენს სიტყვიერებაზედ, დავუმტკიცოთ ჩვენს დიდს ჴელ-მწიფეს, რომ ჩვენც გვესმის იმისი კეთილი განზ-რახვა, დავუმტკიცოთ არა სიტყვით ქართულურად, არამედ საქმით, ვიყვნეთ ჭეშმარიტნი მამულის შვ-ლები, ღმერთი არის ჴელი აკიდოთ ერთმანეთის განკი-ცხვისაგან, დაცინვისაგან და შურობისაგან. შევუდ-გეთ გულწრფელობით საზოგადოდ კეთილს საქმეს,

იმ საქმესა, რომელიცა მოსცემდეს ჩუენს საყუარელს მამულს სარგებლობასა. — ჩუენი საზოგადო მამა, ბევრს კეთილს საქმეს აწყობს ჩუენთვის, მოვალენი ვართ შემძლებისამებრ ჩუენცა დავეხმარნეთ. ამა ღუთის გულისათვის ეს რა ზნეობა არის: ზოგი ერთი ქართველი მაღალის სასწავლებელში ნამყოფი განათლებაზედ თავსა სდებს და თავის მამულის ღირსება არ იცის, განათლებულს კაცსა მამული სძულდეს! იმას განათლებული გონება კი არა, უფრო დაბნელებული უნდა ჰქონდეს. პირველი განათლება კაცისა მასში მდგომარეობს, რომ უყვარდეს მამული რაკი სძულს თავისი სამშობლო ყოველივე, ის ზემოთაც ვსთქვ, განათლებულთ რიცხვში აღარ არის. თქუენ რა გგონიათ, დღეს ცოტათი გაწყდა თავი დავარჩე! უთუოთ უნდა დამერჩო, თუ რომ უხილავს რაღასაც ძალსა, რასაკვირველია კეთილსა არ დავეხსენი! საკვირველად მოქმედებს განგება კაცზედ! დღეს დილით რა წამოვდექი, მრთელი ღამე ხომ სრულებით არა მძინებია. მაშასადამე ვიქნებოდი დამტვრეულ-დაჩეხილისავით. თუმცა ვცდილობდი მიმეცა თავი ძილისათვის, მაგრამ არ იქნა! ერთის ფიქრისაგან მეორეზედ გადავდიოდი, მეორისაგან მესამეზედ და სხ. ბოლოს ვნახე რომ კიდეც გათენებულიყო, წამოვდექი, მივედი და მივუჯექი სამწერლო სტოლსა, რა ავიღე კალამი, მოვინდომე რიღასიცე დაჩხაბა, კარგი ხომ არა გამოვარა ჩემის ძველითგან როგორ ქართველთ დაუბოზის მეტი, ღმერთმანი საზოგადოებისათვის სასარგებლოს დავსწერთ რას-

მეს და!... რა დავიწყე, წავედი კიდევ წყეულს ფიქრში, გამიტაცა, ისე გამიტაცა რომ გონია ჭკუის სამზღვარსაც გადავცდომოდი! ახლა ერთი ეს მკითხეთ, რაზედა ვფიქრობდი? განა არ იცით რაზედაც ვფიქრობდი! იმ ფიქრით ისე შეიმჭვალა ნაღველით ჩემი გული, რომ თავი უნდა დამერჩო, რასაკვირველია თქუენ მაგდენს არას დაჰკარგავდით, მაგრამ ჩემდა სამწუხაროთ ისე ღარიბია ჩემი კაბინეტი, რომ კაცი ამ საშინელის აზრის აღსასრულებელად სრულებით ვერასა ჰპოვებს./რა მექმნა? მტკვარზედ წავსულიყავ, შორს იყო მტკვარი, დამბაჩა მეშოვნა, ვინ მამცემდა, თოკი გაჲ თუ გამწყდარიყო და ნახევარ მკვდარი შევქმნილვიყავი, ამაზედ მეტიც აღარ გინდოდათ! ისევ, მეტი გზა არ იყო, მტკვრისაკენ გავმგზავრდი, სწორეთ იმ აზრით, რომ გარდავარდნილი ვიყავი, მოთმინებითგან გასული! მოთმინებითგან გასული როგორ არ ვიყო, რომ გულგრილად. უყურებთ ქართველნი ჩემს ნათქუამს, მაშასადამე ერთი ოდენ მტკვრისაგან მქონდა იმედი ამ საშინელის მდგომარეობითგან განთავისუფლებისა მაგრამ ოხ!.. ოხ განგებავ! კურთხეულ არს სახელი შენი! თურმე მტკვრისაკენ კი არ წავსულვარ, გზაზედაც ფიქრს გავუტაცნივარ, დამიწყვია სიარული და შუაბაზარში ჩამივლია! ვინ შემომხვდა გზაზედ, არც ის მახსოვს; რომლის დუქნისაკენ გავიარე, არც ის — ერთის სიტყვით სრულებით არა გამიგია. ამ სიარულში, ბოლოს... ოხ! რას ვხედავ!... რა ჩემის გულის სასიამოვნოს საქმეს შევეფეთე! ვნახე უცებ, ხის

ერთის დუქნის კარზედ ხაბაზი, უბრალო ხაბაზი, უძევს მუხლზედ ცისკარი მეთორმეტე ნუმერი, კითხუ-ლობს სალაყბო ფურცელს მაღლივ ხმით, თანახმა უხდება ყოველში მოლაყბეს და წინა-აღმდეგ სიტყვებით ლაპარაკობს ქართველებზე, თან ამას იძახის «ან ნეტამც შეძლება მქონდეს, ვიყიდო ამისთანა წიგნე-ბიო» ეს არაფერი, შემოხვევიან გარეშემო დუქნის მეზობელნი და უნდა ნახოთ თუ რა სასოებით უგდებენ ყურსა: ზოგი სჯის, ზოგი თავის აზრს ამბობს, ზოგი ყვირის და იმეორებს წარკითხულს! რაწამს ეს ვნახე წაცდენით მამიკიდა, თუ მეტის სიხარულით, ისე დავი-ყვირე რომ გამვლელ-გამომვლელნი შედგნენ «მად-ლობა შენთვს ღმერთო, თავი არ დამირჩვია მეთქი.» მართლად რა მადლობა ღმერთსა! ახლავე იმედი მაქვს, რომ თავის დროზედ ჩუენი ლიტერატურაც შეიქნება ღირსი ყურადღებისა!!... აღარ დავიღრჩობ თავსა, მინდა სიცოცხლე! დიდის ხნის სიცოცხლე მინდა, რომ ვნახო ჩუენი ხალხი, ჩემნი საყვარელნი ქართველნი იმ აღუვავებულს მდგომარეობაში, რა მდგომარეობითაცა იქადიან სხუათა ენის ხალხნი. მსურს სიცოცხლე, მხოლოდ ამისთვს, რომ ვნახო ქართველნი, იმ გონების მქონენი, რომლითაცა ეს-მოდეთ ღირსება თავიანთის მამულისა, ესმოდეთ ყოვე-ლივე კეთილი განზრახვა ჩუენის დიდის ჴელმწიფისა; გარდუხდიდეთ მადლობასა ყოველთ კეთილთაზედ, რომ-ლებითაც დაჯილდოებულნი ვართ ჩუენ ქართველნი, არასა დავზოგვიდეთ კეთილზედ კეთილის საზოგადო მამულისა-თვს, არ დავიშურებდეთ, არცა გონებასა, არცა მო-შაკობასა და თუ იქამდის მიდგა საქმე, — ნურცა თუ სისხლსა. — სიკეთეს გარდასვლა უნდა! თუ გვესმის რამე

გარდუხდით, შესმენაც წარმოსდგება გონების გახსნი-
საგან, ხოლო გონების გახსნა ლიტერატურისაგან,
მაშასადამე მომატებული ლაყბობა ამ საგანზედ აღარ
ვარგა, თქუენ თჳთან მიხვდით ახლა, რაც უნდა ჰქმ-
ნათ, როგორც უნდა მოვიქცეთ?.. მხოლოდ თქუენ,
თქუენ დარბაისელნო ქართველნო! თქუენ, მაღალ-
საზოგადოებისანო! ნუ ინებებთ გაუშვათ თქუენი ენა
უყურადღებოთ! ღვთის გულისათჳს ნუ ინებებთ!
ყოვლის ღონისძიებით ვეცადნეთ მოვიყვანოთ აღსრუ-
ლებაში საზოგადო განზრახვა, გარწმუნებთ, თჳთონ
ჩუენს მჯავრველს მამას დიდად იამება, გარწმუნებთ
ყოველნი დაგვიწყებენ ქებას და არა კიცხვასა, რო-
გორც ახლა. ჩუენ არ გვესმის, მაგრამ ჩუენს უკან
ძალიან მგორს ლაპარაკობენ ჩუენზედ, იძახიან ვი-
თომც დაუდევნელნი ვიყვნეთ, ეს დიდად სათაკილოა
ჩუენთჳს, ნუ გიძახით ამას: რა საჭიროა, რათ გვი-
ნდა, რომ აღარავინ კითხულობს, რო აღარავის უნდა.
ნუ იტყვით ამ ცრუ სიტყვებსა, მრავალს უნდა, უმე-
ტესად მდაბიო ხალხსა, ხედავთ ხაზაზებიცკი წახალის-
დნენ! ხედავთ გაზეთებშიაც დაგვიწყეს ხსენება კარგის
აზრით (მაგრამ დაუდევრობაზედკი ლანძღვებთან,
რომელიცა მართალიც არის) ვინ არის ამისი მიზეზი?
კარგათ იცით «ცისკარი», მაშასადამე ვეცადნეთ ყოვ-
ლის ღონისძიებით დავადგინოთ იმ ხარისხზედ
ჩუენი ცისკარი, რომლითაც შეგვეძლოს დავარქვათ
ცისკარს მნათობელი დღე, ანუ ცხადი დღე. გაუთე-
ნოთ ღვთის გულისათჳს დილა! ხედავთ ხაზაზები
რაებს სჩადიან! მე კიდევ იქა ვარ. ხაზაზთან! ხაზა-
ზთან! ხაზაზთან!!!!....

მ. ო. ლოაძე.

---

ლექსები.

ჩემი ლოცვა. . . . . . . . . ი. გერესელიძისა.

ამაოება. . . . . . . . . . . მისივე.

გ. მ. . . . . . . . . . . . ლუკა ისარლოვისა.

. . . ს. . . . . . . . . . . მისივე.

რისთვის მიყვარხარ? . . . . თ. რ. ერისთავისა.

მელა და მაჩვი. . . . . . . დ. მგალობლოვისა.

მუსტაზადი. . . . . . . . . ბეს. გაბაშვილისა.

პროზა.

შვლი უმანკოებისა დრამა
ხუთს მოქმედებად . . . . . ი. გერესელიძისა.

მეფე ერეკლე მეორის განჩინება. . .

პასუხი. . . . . . . . . . ნოტა-ბენისა.

(სხვა და სხვა ამბავი ნახ. მეორე გვერდზე.)